ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 10 ნოემბერი, 2016 №267 (7192) ფასი: 50 თეთრი

## „საქართველოში მარიხუანას მოხმარება 13 წლამდე ბავშვებში აღემატება 11%-ს“



გვ.4

## 10 ნოემბრიდან

ჯერალდ დარელი

იდუმალი ხმების ქვეყანა

მთვრალ ტყეში



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

# „ტრამპის არჩევა, სააკაშვილის ახალი გეგმები და რუსთავის პროტესტი ერთი დიდი ჯაჭვის რგოლებია“



გვ.5

## „პოლიტიკოსები ხალხს ვეღარ ატყუებენ“



დონალდ ტრამპმა, ფაქტობრივად, მოუგო არა მარტო ამერიკას, არამედ მსოფლიოს. ნურავის ეგონება, რომ ის რუსეთისთვის სასარგებლო პოლიტიკას გაატარებს.



## „ნაციონალებს 6 მილიარდი რომ დაებრუნებინათ, პრობლემები არ შეექმნებოდათ“

გვ.3



## მამუკა გამყრელიძე: „სააკაშვილი დიდ პოლიტიკაში წავიდა“

გვ.4

## „თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება მცირდება“

ვახტანგ მაისაია: „ლევან იზორია სამხედრო ტერმინებში ვერ ერკვევა“



გვ.5

## რამაზ საყვარელიძე: „მანანა კობახიძეს სკამი არ აინტერესებს“

გვ.2



ISSN 1987-9385

## მუშების ცემის გამო ჩინური კომპანია დათმობაზე წავიდა

## 13 კაცი სამსახურიდან გაუშვეს

გვ.4

# რამაზ საყვარელიძე: „მანანა კობახიძეს სკამი არ აინტერესებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.

***– საპარლამენტო უმრავლესობაში დაპირისპირებაა და თანამდებობებს ვერ იყოფენ. მანანა კობახიძე გაუნაწყენდა „ოცნებას“. რა ხდება „ოცნების“ შიგნით?***

– თუ ამოვალთ ფსიქოლოგიიდან და მე სხვა საიდან უნდა ამოვიდე, ვიტყოდი, რომ მიმდინარეობს ბუნებრივი პროცესები.

***– ერთმანეთს რომ ჭამენ სკამებისთვის, ეს ბუნებრივია?***

– როდესაც რაღაცაა გასაყოფი, ძმა ძმას უპირისპირდება ხოლმე. საპარლამენტო თანამდებობების დაკომპლექტებაც იწვევს ბუნებრივ დაძაბულობას, რადგან თითოეულ ადამიანს თავის თავზე აქვს გარკვეული შეხედულება, მიაჩნია, რომ იმსახურებს რაღაც სხვას, ვიდრე მას სთავაზობენ და ასე შემდეგ.

ეს პირველი არ არის, არც უკანასკნელია და ბუნებრივიც არის, რომ ასეთი ემოციები არსებობდეს. პირიქით, ეს რომ იყოს წყნარი, ემოციური მორჩილება შეთავაზებული თანამდებობისადმი, ეს იქნებოდა პრობლემა, ეს იქნებოდა არასასურველი და ეს იქნებოდა ავტორიტარიზმის ნიშანი.

***– რისი თქმა გინდათ, რომ ეს დემოკრატიული პროცესია?***

– რახან ადამიანები თავს უფლებას აძლევენ, რომ პრეტენზიები გამოხატონ, ესე იგი მათ აქვთ თავისუფლება საკუთარი პრეტენზიების წარმოჩენასა და გამოხატვაში. დემოკრატიის საფუძველი ხომ დაპირისპირებაა და არა – მორჩილება?! მორჩილება ავტოკრატიას ახასიათებს. თუ ასეთი ემოციებია, ესე იგი პარლამენტი დემოკრატიულია.

***– რამ გაანაწყენა მანანა კობახიძე? უფრო მაღალ თანამდებობას ელოდა პარლამენტში თუ ვიცესპიკერობას ვერ ელევა?***



– ასე ხელაღებით ვერ ვიტყვი, შეიძლება ბევრი მიზეზი იყოს. ვიცესპიკერობა კომიტეტის თავმჯდომარეობიდან იმდენად განსხვავებული პატივი არ არის, რომ ამაზე ჰქონდეს რეაქცია. არა მგონია, რომ ეგ იყოს მიზეზი. ის არ არის ორიენტირებული სკამის სიმაღლეზე. შეიძლება განაწყენების უამრავი სხვა მიზეზი იყოს და ამას ნუ დავაბრალებთ თანამდებობას.

***– ბევრი ახალი სახე დაიკავებს საპარლამენტო თანამდებობებს. როგორია ამ კუთხით თქვენი შეფასებები?***

– ახალი სახეების თანამდებობებზე წარმოდგენა სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ჩემთვის, რადგან გულის სიღრმეში ვფიქრობდი, რომ ეს განახლება იქნებოდა დეკორატიული. გვინახავს ასეთი განახლებები, როცა ახალ სახეებს საარჩევნოდ გამოაფრიალებენ, მაგრამ მართვის პულტთან მაინც ძველები რჩებიან. აი, მართვის პულტთან ახალი სახეების მიშვება ნიშნავს იმას, რომ „ოცნებას“ განახლების რეალური განზრახვა აქვს. ახალმა სახეებმა მაჟორიტარულ არჩევნებში გაიმარჯვეს და მათ დაანგრიეს სტერეოტიპი.

***– რომელი სტერეოტიპი?***

– ჩვენთან იყო სტერეოტიპი, რომ მაჟორიტარულ არჩევნებში იმარჯვებენ ფულის ტომრები, ადგილობრივი ბიზნესმენები, რომლებიც ფქვილს და შაქარს დააყრიან მოსახლეობას. აი, ეს სტერეოტიპი დაირღვა. მაჟორიტარულ არჩევნებში გაიმარჯვეს ენერგიულმა, განათლებულმა და განახლებაზე ორიენტირებულმა ახალგაზრდებმა. ამ სტერეოტიპის დარღვევა ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს. ამ ბრძოლა გამოვლილი ახალგაზრდების დასმა სამართავ პულტთან ამა თუ იმ კომიტეტში პოზიტიური მოვლენაა. ვნახოთ, საპარლამენტო მუშაობაში როგორ გამოავლენენ თავს.

***– დასაკომპლექტებელია მინისტრთა კაბინეტი. როგორია ბიძინა ივანიშვილის როლი ამ პროცესებში? საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ პროცესებს ის მართავს და მასთან შეთანხმებით წყდება ყველა საკითხი. ასეა?***

– რა გითხრათ. ჩემი დაკვირვებით, მას ჩარევის სურვილი არ აქვს. ბევრ პუნქტში თვალსაჩინოდ ჩანს, რომ პროცესები ისე არ მიდის, როგორც ივანიშვილს სურს. მან თქვა კიდეც, სხვა აზრის ვიყავი პრეზიდენტის და მთავრობის ურთიერთობებზე, მაგრამ კვირიკაშვილის პოზიციას გავუწიე ანგარიშიო. ჩვენ ვიცით, რა მძაფრი რეაქცია აქვს ივანიშვილს მარგველაშვილის მიმართ დღემდე, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა გადამწყვეტი.

***– ამით რისი თქმა გსურთ, რომ კვირიკაშვილი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს?***

– არც მთლად ისეა საქმე, რომ ივანიშვილი დირიჟორია და საითაც გაიქნევს ჯოხს, ორკესტრიც ისე იმღერებს. ივანიშვილი ერთ-ერთი მოქმედი პირია იმ სამზარეულოში, სადაც მიიღება პოლიტიკური გადაწყვეტილებები, მაგრამ იშვიათად ერთვება ამ სამზარეულოში. მას დიდად არ ეხალისება პოლიტიკა.

მას ბიზნესის მიხედვა ურჩევნია, ვიდრე პოლიტიკურ ლაბირინთებში გარკვევა. ამიტომ ივანიშვილის როლზე მითი გადამეტებულია, თუმცა, რადიკალური გადაწყვეტილებების დროს ის ერთვება. სავარაუდოა, რომ ის ღარიბაშვილის შეცვლაში ჩაერთო. ღარიბაშვილის ერთგულება მისდამი ეჭვს არასდროს იწვევდა, არც დღეს იწვევს. უბრალოდ, ღარიბაშვილმა თავი ვერ გაართვა ნეპოტიზმის ინფექციას.

***– ოპოზიციურ ფლანგზე განვითარებულ პროცესებზე რას იტყოდით? რა ხდება ნაციონალურ მოძრაობაში? საუბარია, რომ მიშისტებად და გიგისტებად იყოფა პარტია. გიგისტებში გიგა ბოკერიას გულისხმობენ. სანდრა რულოვსმა უარი თქვა დეპუტატის მანდატზე, სააკაშვილმა ოდესის გუბერნატორის პოსტი დატოვა. რა პროცესები იწყება ნაციონალებში?***



## „ქართული ოცნების“ ახალგაზრდა მაჟორიტარებმა სტერეოტიპი დაამსხვრიეს“

– კარგი დაზუსტება გქონდათ, რადგან ნაციონალებში ორი გიგაა, გიგი უგულავასაც თუ ჩავთვლით. გიგიზმი ადრე რომ დაწყებულიყო, ნაციონალებისთვის უკეთესი იქნებოდა. მარცხმა თავისი ქნა.

ვერ ვიტყვით, რომ ეს მოულოდნელი მარცხი იყო, მაგრამ ერთი დასკვნა გამომდინარეობს ასეთი მძაფრი რეაქციიდან არჩევნების შედეგზე. ესე იგი ისინი ილუზიებით იკვებებოდნენ. ნაციონალებს ობიექტური შეფასება სიტუაციისა არ ჰქონდათ. ამ ილუზიების ფონზე საწინააღმდეგო რომ ხდება, მერე არის ხოლმე შოკისმაგვარი რეაქცია. აი, ასეთი შოკისმაგვარი რეაქცია ჰქონდა ამ პოლიტიკურ პარტიას.

# სააკაშვილი: „ტრამპი არაპროგნოზირებადი პიროვნებაა“



– ტრამპი არაპროგნოზირებადი პიროვნებაა, ჩვენ დიდ გამოწვევებთან გვექნება საქმე, მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ უკრაინის ხელისუფლება არ არის მზად იმ გამოწვევებისთვის, რომელიც უკრაინას დონალდ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ელოდება.

უკრაინული მედიის ცნობით, ამის შესახებ სააკაშვილმა კიევში, ჟურნალისტებს განუცხადა. მისი შეფასებით, ტრამპი არაპროგნოზირებადი პიროვნებაა.

„ჩვენ დიდ გამოწვევებთან გვექნება საქმე“, – განაცხადა სააკაშვილმა და იქვე დასძინა, რომ ევროპა ახლა პანიკაშია.

– რა გინდათ, რომ ჩვენზე ამერიკამ ან ევროპამ იზრუნოს? შეხედეთ უკრაინელი ჩინოვნიკების დეკლარაციებს. ხალხისადმი და საკუთარი ქვეყნისადმი ასეთი მიდგომის შემდეგ გინდათ, რომ ამერიკელებმა დაგვიცვან ჩვენივე თავისგან, თუ ევროპელებმა? – განაცხადა სააკაშვილმა.

მისი მოსაზრებით, უკრაინაში არსებული სიტუაციის შეცვლაა საჭირო.

**ინტერპრესნიუსი**

# „საქართველოზეა დამოკიდებული, რამდენად საჭირო ვიქნებით აშშ-სთვის

ჩვენ ვნახეთ მარტივი ტესტი იმისა, რომ დემოკრატია რეალურად მუშაობს, – ასე აფასებს ექსპერტი გია ხუხაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს.

როგორც ხუხაშვილმა „კვირას“ განუცხადა, შეერთებული შტატები გლობალისტური პროექტიდან თავის ნაციონალურ ინტერესებზე ორიენტირებას იწყებს.

ექსპერტის შეფასებით, ეს გლობალისტური პროექტის დასასრულის დასაწყისია.

– პირადად ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა ეს შედეგები, ეს არის კანონზომიერი პროცესი.

სამყარო მთლიანად იცვლება. ამის პირველი ტესტი იყო ბრექსითი, ვფიქრობ, რომ პროცესმა მიიღო შეუქცევადი ხასიათი. ეს გახლავთ პროცესი, რომელსაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ – გლობალისტური პროექტის დასასრულის დასაწყისი, შეერთებული შტატები გლობალისტური პროექტიდან იწყებს თავის ნაციონალურ ინტერესებზე ორიენტირებას.



დღეს ჩვენ ვნახეთ მარტივი ტესტი იმისა, რომ დემოკრატია რეალურად მუშაობს, დემოკრატია არის ხალხის მმართველობა და გლობალისტური პროექტი ფაქტობრივად ეჭვქვეშ აყენებს ამ მთავარ მონაპოვარს, დღეს ამერიკელმა ხალხმა პოლიტიკურ ელიტებს უთხრა უარი და თქვა: მე მინდა ვმართო ჩემი ქვეყანა. რაც შეეხება თავად ტრამპს – ჩვეულებრივი – დავარცხნილი იმიჯის მქონე პოლიტიკოსი ასეთ რევოლუციურ შედეგს ვერ დადებდა, მას წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში უწევდა გარკვეულწილად ექსცენტრიულობა, რათა დაემსხვრია სტერეოტიპები. მთავარი არის ის, რომ სამყარო იცვლება მთლიანობაში, ხალხი იბრუნებს ძალაუფლებას და უარს ეუბნება გლობალისტურ პროექტს – სწორედ ეს არის ყველაზე დიდი რევოლუციური შემობრუნება, რაც მთლიანად ცვლის სამყაროს, – განუცხადა „კვირას“ ხუხაშვილმა.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ განვითარდება ტრამპის პრეზიდენტობის პირობებში აშშ-საქართველოს ურთიერთობები, ხუხაშვილი ამბობს, რომ ეს მეტწილად საქართველოზეა დამოკიდებული.

თუმცა ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ აშშ-ს პოლიტიკა და დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არ შეიცვლება.

– არა მგონია, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა და დამოკიდებულება შეიცვალოს, თუმცა ეს უფრო მეტად დამოკიდებულია ჩვენზე, ვიდრე შეერთებულ შტატებზე. ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად საჭირო ვიქნებით მათთვის, რომ ჩვენთან გააგრძელოს სტრატეგიული პარტნიორობა, – აღნიშნა ხუხაშვილმა.

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის „რესპუბლიკელმა“ კანდიდატმა დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა.

**კვირა**

# „ფრთხილად „სამძიმრებში“, გაითვალისწინეთ, რომ ტრამპი ამერიკელებმა აირჩიეს და არა უცხოპლანეტელებმა“

საქართველოს პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობათა მდივანი თენგიზ ფხალაძე აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით ქართული საზოგადოების მიერ გამოთქმულ შეფასებებს ეხმაურება.

ფხალაძე შესაბამისი შინაარსის სტატუსს ფეისბუქის პირად გვერდზე აქვეყნებს.

– რამდენიმე, ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი ტრამპის პრეზიდენტობის შესახებ:

1. საქართველოსადმი ამერიკის ინტერესი გრძელვადიანია. დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, 25 წლის განმავლობაში, ყურადღება და დახმარება არც რესპუბლიკელებისგან მოგვკლებია და არც დემოკრატებისგან. რას და როგორ გამოვიყენებთ, ჩვენზეა დამოკიდებული.

2. არავინ იცის, როგორი პრეზიდენტი იქნება ტრამპი. ამ ადამიანს საჯარო სამსახურში არასოდეს უმუშავია. წინასაარჩევნო კამპანია და რეალური პოლიტიკური ნაბიჯები ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავდება. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ადამიანი, რომელმაც ცხოვრებაში რამდენჯერმე შეძლო ფეხზე წამოდგომა და ბოლოს აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნების მოგება, პატივისცემას ნამდვილად იმსახურებს.

3. ტრამპის გამარჯვება კიდევ ერთი გაკვეთილია იმისა, თუ გინდა,



რომ ხალხმა აგირჩიოს, ხალხთან უნდა იყო, მისი პრობლემა უნდა გესმოდეს და მის ენაზე ლაპარაკობდე! დიახ, მის ენაზე და არა ცოტა ბომონდში ათქვეფილ, ინტელექტუალ-ყოვლისმცოდნე ზემოდან გადმოხედვით!

4. ცოტა ფრთხილად „სამძიმრებში“ ამერიკელების მიმართ. გაითვალისწინეთ, რომ ეს ტრამპი სწორედ ამერიკელებმა აირჩიეს და არა უცხოპლანეტელებმა. ვიღაც შეიძლება ამერიკაში აკრიტიკებს, მაგრამ რაც შინაურისგან მისაღებია, უცხოსგან მიუღებელია. აშშ ის ქვეყანაა, რომელიც ინსტიტუტებს განსაკუთრებულ პატივს სცემს და მის მასხრად აგდებას უცხოს ნამდვილად არ აპატიებს.

5. დაბოლოს, ძალიან მიყვარს ამერიკა, მაგრამ ამერიკელებზე მეტად ნუ ვიქნებით მისი „ლხინისა თუ ჭირისუფლები“, ჩვენს თავს მივხედოთ!“, – წერს თენგიზ ფხალაძე.

**კვირა**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალებს 6 მილიარდი რომ დაებრუნებინათ, პრობლემები არ შეექმნებოდათ“

## ზაალ კასრელიშვილი: „საქართველოში პრორუსული ძალები გააქტიურდებიან“

შორენა მარსაგიშვილი

გამონახავს თუ არა სააკაშვილი ტრამპთან საერთო ენას, ვინ მოსთხოვა ნაციონალებს 6 მილიარდის დაბრუნება, დათბება თუ არა ურთიერთობები მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის, შეიცვლება თუ არა საქართველოს საგარეო კურსი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

***– ჩვენი პოლიტიკოსების ნაწილი ვარაუდობდა, რომ აშშ-ს პრეზიდენტად ტრამპის არჩევის შემთხვევაში ვაშინგტონი რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას დაიწყებდა. ტრამპი პრეზიდენტია. დაიწყება გადატვირთვის ახალი ეტაპი?***

– სანამ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე ვისაუბრებდეთ, ისიც ვთქვათ, რატომ გააკეთა ამერიკამ ასეთი არჩევანი. ამერიკაში მოხდა ის, რაც აუცილებლად მოხდება პოსტსაბჭოურ სივრცეში. ეს იყო საშუალო ფენის არჩევანი. ვინმემ თუ არ იცის, შევახსენებ, რომ საშუალო ფენა არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც განათლებასა და შრომაზეა ორიენტირებული.

ძალიან მალე პოსტსაბჭოურ სივრცეშიც იგივე მოხდება და საშუალო ფენა თავის არჩევანს გააკეთებს. საზოგადოების ეს ნაწილი არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს და ამიტომაც არის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში არჩევნებზე ამომრჩევლის მხოლოდ 50% მიდის. დონალდ ტრამპმა სწორედ საშუალო ფენაზე დადო ფსონი და გაიმარჯვა.

***– თქვენი პასუხიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, აშკარად მოგწონთ ამერიკელების მიერ გაკეთებული არჩევანი.***

– მომწონს თუ არ მომწონს, ეს არავის აინტერესებს. ეს არის ამერიკის არჩევანი და ის ამ ქვეყანას უნდა გამოადგეს.

***– გამოადგება ტრამპი ამერიკას? მისი და ვლადიმერ პუტინის თბილ ურთიერთობებზე ბევრს საუბრობენ.***

– აშშ-ს ახალი პრეზიდენტი აუცილებლად გადახედავს ქვეყნის საგარეო კურსს, თუმცა საგარეო საფრთხეების მიმართ ამერიკის კურსი არ შეიცვლება. ამ საქმეში რამდენად იქნება რუსეთი ამერიკის პარტნიორი, მათი ურთიერთობები მთლიანად ამაზეა დამოკიდებული. ჩვენ ეჭვი გვეპარება, აშშ რუსეთს მარტო იმიტომ გაურიგდეს, რომ მას ატომური ბომბი აქვს.

***– პუტინს და ტრამპს რომ ერთმანეთი ესიმპათიურებათ, ეს არაფერს ნიშნავს?***

– ერთმანეთი მართლაც ესიმპათიურებათ, მაგრამ სიმპათია-ანტიპათია პოლიტიკაში ძალიან პირობითია. სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია, ასე რომ, ადვილად შესაძლებელია, ერთმანეთი შესძულდეთ. ახლა ყველაფერი პუტინის საგარეო პოლიტიკურ კურსზეა დამოკიდებული. რუსეთი თუ ძველ კურსს გააგრძელებს, მაშინ არაორდინარული ტრამპისგან, შესაძლოა, კიდევ უფრო მწარე პასუხი მიიღოს.



***– ტრამპის მიმართ სიმპათიებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტიც ამჟღავნებდა და ერთხელ საქართველოშიც კი ჩამოიყვანა. სააკაშვილის მომხრეები ამბობენ, რომ ტრამპის გაპრეზიდენტება ექსპრეზიდენტის პოზიციებს გაამყარებს. ამაზე რას იტყვით?***

– ამერიკაში არჩევნების შედეგები ჯერ დასრულებული არ იყო, რომ სააკაშვილმა ტრამპის სურათები გამოაქვეყნა თავისი ფეისბუქის გვერდზე და გაიძახის, ტრამპი ჩემი მეგობარიაო. ეს არაფერს ნიშნავს, რადგანაც ტრამპს არსად უთქვამს, მიშა ჩემი მეგობარიაო. ასეც რომ იყოს, ეს არაფერს შეცვლიდა, რადგანაც, როგორც უკვე გითხარით, პოლიტიკაში სიმპათია-ანტიპათია არაფერს ნიშნავს.

სააკაშვილს რაც შეეხება, მისი ფსონი იდო ნაციონალების მიერ აღებულ პროცენტებზე. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ჰქონდა მას ან მის მომხრეებს გამარჯვების იმედი. ისინი შეცდნენ, დამარცხდნენ და ახლა ექსპრეზიდენტი ნელ-ნელა ემიჯნება თავისავე დაარსებულ პარტიას. მას ნაციონალებიც ემიჯნებიან, მაგრამ ცოტა დააგვიანდათ, კარგი იქნებოდა, ეს ადრე გაეკეთებინათ.

ვიღაცებს აქვთ მოლოდინი, რომ სააკაშვილი ახალ პარტიას გააკეთებს, მაგრამ ეს გამორიცხულია. საქართველოში არ არსებობს ადამიანთა ჯგუფი, არც სოციალური ფენა, რომელიც მას გაჰყვება. ამას ისიც კარგად გრძნობს და ამიტომაც გადაწყვიტა, მთლიანად უკრაინულ პოლიტიკაში წავიდეს. ის იქ არა მარტო თანამდებობას, არამედ ფიზიკურ გადარჩენასაც ცდილობს.

***– ასე ცუდად აქვს საქმეები?***

– ძალიან ცუდად აქვს საქმე. მისი სიცოცხლე სერიოზულ საფრთხეშია. მან თავის ჭკუით კორუფციას გამოუცხადა ბრძოლა. კორუფცია ვერ დაამარცხა, სამაგიეროდ, ერთმანეთთან დაპირისპირებული უკრაინელი პოლიტიკოსები და ოლიგარქები თავის წინააღმდეგ გააერთიანა.

ის განცხადებები, რასაც ის აკეთებს, უკრაინის მოსახლეობას მოსწონს, მაგრამ ეს არაფერს შეცვლის, რადგან სააკაშვილს მეთოდები მოუძველდა.

***– ტრამპის გაპრეზიდენტებაც ვერ უშველის?***

– სააკაშვილი ერთადერთ შემთხვევაში გახდება ტრამპის ინტერესის საგანი, თუ ის უკრაინაში იგივეს გააკეთებს, რაც 2003 წელს საქართველოში მოაწყო. ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ უკრაინაში ვარდების რევოლუცია არ მოხდება. სააკაშვილი ხალხის აყოლიებას ველარ შეძლებს.

მილიარდერ ტრამპს მილიარდერ პოროშენკოსთან უფრო გაუადვილდება საუბარი, ვიდრე პოლიტიკურად გაკოტრებულ სააკაშვილთან.

***– მილიარდერობა თუ იქნება გადამწყვეტი, მაშინ პუტინთანაც გამონახავს საერთო ენას.***

– ამ შემთხვევაში ბიზნესით ნაშოვნ მილიარდებზე ვსაუბრობ, თორემ პუტინის მსგავსად სააკაშვილსაც კი აქვს ნაშოვნი დიდი ფული. საერთოდ, თუ გაინტერესებთ, სააკაშვილის ქონებასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით – არც მას და არც ნაცმოძრაობას არანაირი პრობლემა არ ექნებოდათ, არც საქართველოში დარჩენის და არც პოლიტიკური კარიერის გაგრძელების, მათ რომ 6 მილიარდი დაებრუნებინათ. მათ ეგ ამბავი არ ქნეს და ახლა თავის თავს დააბრალონ.

***– ვინ მოსთხოვა მათ ამ თანხის დაბრუნება?***

– ეგ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. მოპარული ფულის დაბრუნება არ მოინდომეს და მიიღეს ის, რაც მიიღეს. ასე რომ, სააკაშვილი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია.



***– ტრამპის პრეზიდენტად არჩევას საქართველოში პრორუსული ძალები დიდი სიხარულით შეხვდნენ. ეს არჩევანი მათ პოზიციებს ხომ არ გაამყარებს?***

– ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პოლიტიკოსების და წარჩინებულების უბედურება ყოველთვის იყო და იქნება ის, რომ სულ ვიღაცის მოლოდინში ვართ. ხან იმას ვუყურებდით, ირანის შაჰი ვინ გახდებოდა, ხან კიდევ ოსმალეთის სულთნის არჩევას ველოდით გულისფანცქალით. ჩვენ თუ რაიმე მიზანი გვაქვს, უნდა მოხდეს მისი დეკლარირება და მის გარშემო უნდა მოხდეს გაერთიანება. ხალხის ნება ნებისმიერი ტიპის სახელმწიფო ლიდერებისთვის ხელშეუხებელია.

ჩვენ ჩვენს ინტერესებს არ უნდა ვუღალატოთ და მარჯვნიდან მარცხნივ ცრუ მოძრაობები არ ვაკეთოთ. ასე თუ არ ვიმოქმედებთ, აუცილებლად დავინგრევით.

***– თქვენი აზრით, იქ უნდა დავრჩეთ, სადაც ვართ?***

– უნდა დავრჩეთ იქ, სადაც ვართ და კიდევ უნდა განვამტკიცოთ პოზიციები. მოვიდა დრო, როცა ერთი კონკრეტული მიზნის გარშემო უნდა გავერთიანდეთ. პრორუსული ძალების გაძლიერებას რაც შეეხება, ეს პროცესი აუცილებლად დაიწყება, მაგრამ არ უნდა დავუშვათ. მით უმეტეს ახლა, როცა მსოფლიოში პოლიტიკური პროცესები ჩვენ სასარგებლოდ ლაგდება.

***– ჩვენ სასარგებლოდ რა ხდება?***

– თუნდაც რუსეთის და თურქეთის დაახლოება. რაც უფრო მჭიდროდ დაუახლოვდება ანკარა მოსკოვს, საქართველო მით უფრო ღირებული გახდება დასავლეთისთვის. დასავლეთი ყველაფერს გააკეთებს, რომ დამოუკიდებელ საქართველოსთან იმეგობროს, რომლის მოსახლეობაც თავის მხრივ დასავლურ კურსს უჭერს მხარს.

***– მოსახლეობის დიდი ნაწილი კი უჭერს დასავლურ კურსს მხარს, მაგრამ ევრაზიული კავშირის მომხრეებიც ხომ არიან.***

– ევრაზიული კავშირის მომხრეები ძალიან ცოტანი არიან და ისინი პოლიტიკურ ამინდს ვერ შექმნიან. მომიყვანეთ ევრაზიული კავშირის ყველაზე დიდი მომხრე და დებატებში რამდენიმე წუთში დავუმტკიცებ, რომ არაფრის აზრზე არ არის.

***– კონკრეტულ პიროვნებას დებატებში შესაძლოა კიდევ ბევრი რამე დაუმტკიცოთ, მაგრამ იმ ფაქტს როგორ ხსნით, რომ საქართველოში ევრაზიული კავშირის მომხრეების რაოდენობა სულ უფრო იზრდება. ამას საერთაშორისო ორგანიზაციების ჩატარებული გამოკითხვებიც ადასტურებს.***

– მაგ ხალხის რაოდენობა იმიტომ იზრდება, რომ აზრზე არ არიან, რა არის ევრაზიული კავშირი. ხელისუფლება არაფერს აკეთებს დასავლური სიკეთეების პროპაგანდისთვის. ისიც კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ვერც რუსი და ვერც ამერიკელი ჩვენს ცხოვრებას ვერ გააუმჯობესებს, თუ ჩვენ არ ავაშენებთ ქართულ სახელმწიფოს. დადგა ის დრო, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს.

***– ქართველების უმეტესობას არ უნდა, რომ თავისი თავი თავადვე ეყუდნოდეს, ზემოთ თავად თქვით, ხან შაჰის არჩევის მოლოდინში ვიყავით და ხანაც სულთნისო. ახლა ისინი აშშ-ს და რუსეთის პრეზიდენტებმა ჩაანაცვლეს.***

– სამწუხაროდ, ბევრია ჩვენთან ასეთი ხალხი. მათ მე პუტანკებს ვეძახი, რა მნიშვნელობა აქვს, ვინმესთან 1.000 რუბლის სანაცვლოდ დაწვება თუ 100 დოლარად მიუშვერს უკანალს. პუტანკა არის პუტანკა და მანამდე ვიქნებით პუტანკებივით, სანამ საკუთარ, ქართულ სახელმწიფოს არ შევქმნით.

## გიორგი მარგველაშვილი: „სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა არ გაუქმებულა“

– სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა არ გაუქმებულა, არამედ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ერთჯერადად გააუქმა. სამხედრო გაწვევის ინსტიტუტზე უშიშროების საბჭოს სხდომაზე ვისაუბრებთ, რომელიც ორი კვირის ვადაში ჩატარდება.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა.



როგორც პრეზიდენტმა განმარტა, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა არ გაუქმებულა, არამედ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თინა ხიდაშელმა გაწვევა ერთჯერადად გააუქმა.

– ამის გაკეთების წინაპირობა არსებობდა კიდევაც და თან არ არსებობდა, რადგან ჩვენ განსაზღვრული გვქონდა, რომ 2016 წლის ბოლოსთვის მთლიანად გადავიდოდით პროფესიულ არმიაზე, რაც აპრიორი გულისხმობს გაწვევის გაუქმებას. მეორე მხრივ, მოხერხდა არა რეალურად კანონის შეცვლა, ახალი კონცეფციის დადება, არამედ განხორციელდა ის, რომ ერთჯერადად გაუქმდა გაწვევა, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, ასე რომ დაგვეტოვებინა, ყოველ ეტაპზე თავდაცვის მინისტრი გააუქმებდა გაწვევას, რაც ფაქტობრივად, გასაწვევი კონტინგენტის მხოლოდ მესამედია. დანარჩენი ორი მესამედის გაწვევა კი ხდება არა თავდაცვის მინისტრის, არამედ სხვა უწყებების მიერ.

– მიუხედავად იმისა, რომ მიზანი იყო მთლიანად პროფესიულ არმიაზე გადასვლა და გაწვევის გაუქმება, ამისთვის შესაბამისი ნაბიჯები არ გადაიდგა. გაუქმდა მხოლოდ ერთი გაწვევა. ამის თაობაზე მე მაშინვე გავაკეთე განცხადება, რომ ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები ჩვენ უშიშროების საბჭოს სხდომაზე უნდა განვიხილოთ და უფრო დეტალურად და სიღრმისეულად გავიაზროთ ის პროცესები, რომელიც ამ ყველაფერს მოჰყვება, – განაცხადა მარგველაშვილმა.

კითხვაზე – იყო თუ არა განხილული აღდგენის საკითხი უშიშროების საბჭოს სხდომაზე, მარგველაშვილის თქმით, ის ესაუბრა მინისტრს, რომ ამ ნაჩქარევ გაუქმებას ასე ვერ დატოვებდნენ და „რაღაცა უფრო სისტემური გადაწყვეტილება სჭირდება“.

– იქნებოდა ეს ერთჯერადი აღდგენა, თუ რამე სხვა ტიპის გადაწყვეტილებები – ამის თაობაზე იქნება საუბარი უახლოეს მომავალში, რადგან დაახლოებით, ორი კვირის ვადაში ჩატარდება უშიშროების საბჭო და იქ ჩვენ ვისაუბრებთ საერთოდ სამხედრო გაწვევის ინსტიტუტზე, – განაცხადა მარგველაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

## გია ვოლსკი: „გვართან თანამდებობის დაკავშირება არის არასწორი“



ვოლსკი გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებას, რომ პრეზიდენტის არჩევა ქართველი ხალხის უფლებაა.

– გიორგი მარგველაშვილი კი არის პრეზიდენტი, მაგრამ იგი არ განაპირობებს გადაწყვეტილებებს, რომელიც ხალხის მიერ არჩეულმა პარლამენტმა უნდა მიიღოს. შეიძლება ეგრეც იყოს, როგორც თვითონ ამბობს, რომ პრეზიდენტი ხალხმა აირჩიოს, მაგრამ ზოგადად, გვართან თანამდებობის დაკავშირება არის არასწორი, – განაცხადა ვოლსკიმ.

მისივე თქმით, სასკანდალო თემის შემოტანა საჭირო არ არის, რადგან საზოგადოება ისედაც ბევრ სტრესს განიცდის.

ვოლსკი მიიჩნევს, რომ ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, როგორც საჭირო იქნება.

– განსაკუთრებით დამახასიათებელია ასეთი განცხადებები ნაციონალური მოძრაობისთვის, რომ კიდევ დაძაბულ სიტუაციაში ჰაერიდან შემოაქვს დაძაბულობა. პრეზიდენტმაც, პრემიერმაც, პარლამენტის წევრმაც და თავმჯდომარემაც, უნდა ვისაუბროთ ერთ საკითხზე, როგორ შედგება საკონსტიტუციო კომისია, რა პრინციპებზე იქნება ამ კომისიის მუშაობა დამყარებული, ვინ ჩაერთვება მუშაობაში და ა.შ. მარგველაშვილი, ვოლსკი და სხვები ამ საკითხს არ წყვეტენ, გააჩნია მართვის რა რესურსი ექნება პრემიერს, პრეზიდენტს და პარლამენტს და ამის მიხედვით ქვეყნისთვის როგორ იქნება უკეთესი და არა მარგველაშვილისთვის, კვირიკაშვილისთვის თუ კობახიძისთვის, რომელიც, იმედია, არჩეული იქნება პარლამენტის თავმჯდომარედ, – აღნიშნა ვოლსკიმ.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მამუკა გამყრელიძე: „სააკაშვილი დიდ პოლიტიკაში წავიდა“

ნონა ცაბაძე

**სააკაშვილის სამომავლო პოლიტიკურ გეგმებზე, უკრაინაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პროცესებსა და ნაციონალურ მოძრაობაში არსებულ განხეთქილებაზე „ახალ თაობას“ მამუკა გამყრელიძე ესაუბრება.**

***– ბატონო მამუკა, რატომ გადადგა მიხეილ სააკაშვილი? რამდენად ცუდად აქვს საქმე უკრაინაში?***

– დავიწყოთ იქიდან, უკრაინაში რა ხდება. როგორც ყოველთვის, მიხეილ სააკაშვილმა მიიღო სწორი გადაწყვეტილება. მიშას ეს ახასიათებს, გადადგომა იცის ხოლმე ძალიან კრიტიკულ და სწორ მომენტში.

***– ამით რისი თქმა გსურთ?***

– გახსოვთ ალბათ, თავის დროზე მინისტრობიდანაც გადადგა, შემდეგ პრეზიდენტობიდანაც გადადგა და მერე ამ გადადგომით აუცილებლად იგებს ხოლმე.

***– ფიქრობთ, რომ მოიგებს?***

– ჯერჯერობით ასე იყო. ჩემის აზრით, სწორი ნაბიჯი გადადგა, იმიტომ, რომ ვიცი, ოდესაში რაც ხდება. ვაკვირდები ამ პროცესებს.

***– და ასეთი რა ხდება?***

– ღრმად კრიმინალიზებული მხარეა. სისტემურად კორუმპირებული და კრიმინალიზებული. ოდესის მერი საერთოდ ბანდიტია! ჩვეულებრივი ბანდიტი და ამას ოდესელებიც არ მალავენ. ეს მარტო ოდესას არ ეხება. ეს სიტუაციაა მთლიანად უკრაინაში. ეს არის ღრმად კრიმინალიზებული, ბანდიტური დაჯგუფებების მქონე ქვეყანა.

ყველა მსხვილი კორპორაციის ხელმძღვანელს და ზოგიერთ გუბერნატორსაც თავისი სამხედრო დაჯგუფება ჰყავს. ვერ მოახერხა პოროშენკომ ვითარების შეცვლა. ის კომპრომისული ფიგურაა და იმ დროისთვის ყველას აწყობდა. მაიდანიც სპონტანურად მოხდა, იმ დროისთვის ლიდერი არ იყო, საზოგადოება კი ლიდერს ითხოვდა. პოროშენკო ველარ მართავს სიტუაციას.



***– თავად სააკაშვილს რატომ შეექმნა პრობლემები სამართალდამცავ უწყებებთან?***

– დანამდვილებით ვიცი ჩემი მეგობრებისაგან, რომლებიც უკრაინაში მუშაობენ, რომ ოდესის მერს და სხვა ბანდიტებს სურდათ, მიშასთან დაელაგებინათ ურთიერთობა. მათ ძალიან გაუკვირდათ, რომ მიშამ ფული არ აიღო. მთავარს მოუწერია ქალაქის მერისთვის, რატომ ვერ ალაგებ ურთიერთობას, ეტყობა, არასაკმარისი თანხა შესთავაზეო. მათთვის წარმოუდგენელი ამბავია, რომ მიშამ ფული არ აიღო. გაიხსენეთ, რა იყო შევარდნაძის დროს, ზუსტად იგივე სიტუაციაა დღეს უკრაინაში.

***– რამდენად მოიგებს ამ გადადგომით სააკაშვილი?***

– სააკაშვილი დაიწყებს პოლიტიკურ ბრძოლას. სააკაშვილი აქამდე იქ იყო მეურნე და მეურნის ფუნქციებს ასრულებდა. ის ოლქის ხელმძღვანელი იყო. რაც მან გააკეთა ოლქში, ეს არის ძალიან სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი.

***– ანუ ის დიდ პოლიტიკაში მოსვლას გეგმავს?***

– რა თქმა უნდა. ამ პროცესს ჩვენ უფრო ფართო ჭრილში უნდა შევხედოთ. სააკაშვილმა იქ შექმნა ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომლებიც ძალიან განათლებულები არიან. ისინი არიან გამგებლები და პირველი პირები ამ ოლქში. რასაკვირველია, ისინი იმუშავებენ და წინ წავლენ. სააკაშვილის გადადგომა მათთვის ცელის გამოსმაა, მაგრამ ოლქში პროგრესული ნაბიჯები იქნება. ოდესას რაც შეეხება, ის ჭაობშია, მას არაფერი ეშველება.

***– რამდენად აქვს სააკაშვილს დასავლეთის მხარდაჭერის იმედი? საუბარია, რომ სააკაშვილი კლინტონს უჭერდა მხარს.***

– ეს რის საქართველოს მიდგომა, უი, დასავლეთი რას იტყვის, სამხრეთი რას იტყვის. ეს სისულელეა. საბოლოო ჯამში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აზრს. იგივეა საქართველოში, იგივეა უკრაინაში. უკრაინაში თუ შეიცვლება საზოგადოების განწყობა, მაშინ ყველაფერი შეიცვლება. სააკაშვილმა თავი დაანება მეურნეობას და წავიდა პოლიტიკაში. მას აქ სრულიად განსხვავებული და ფართო ასპარეზი ექნება. იქ რეალურად პარტიაც არსებობს უკვე, ამისთვის საფუძველი შემზადებულია.

***– აქვს სააკაშვილს უკრაინაში საზოგადოების მხარდაჭერა? ან მოახერხებს ამ მხარდაჭერის მოპოვებას?***

– მოახერხებს. იქაურ საზოგადოებას სჭირდება ჯანსაღად პოპულისტური პოლიტიკოსი, რომელმაც უნდა გამოაფხიზლოს ეს ღრმად კრიმინალიზებული და კორუფციული საზოგადოება.

***– თქვენ აცხადებთ, რომ სააკაშვილი მიდის დიდ პოლიტიკაში, ოღონდ უკრაინაში?***

– რა თქმა უნდა, დიდ პოლიტიკაში და, რა თქმა უნდა, უკრაინაში! თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში არ იქნება აქტიური.

***– რა ხდება ამ დროს საქართველოში? საუბარია ნაციონალური მოძრაობის შუაზე გახლეჩვაზე, სააკაშვილის ჩამოშორებაზე პარტიიდან.***

– არა, ეს არ არის სწორი. იქ დაპირისპირება სხვადასხვა ჯგუფებს შორის არის. ოთხი არჩევნები წააგო პარტიამ. თავი ჩაქინდრეს, ხმა არ ამოიღეს ათასგვარ გაყალბებაზე, შევიდნენ წყნარად პარლამენტში, ვითომ არაფერი მომხდარა. ეს ხომ არანორმალურია?! პარტიას სჭირდება გადახალისება, ახალი სახეები, ახალი ენერგია, ახალი იდეები და ახალი დრაივი.

***– ვინ უნდა მოუტანოს პარტიას ეს ახალი დრაივი?***

– სააკაშვილს შესწევს ძალა იმისა, რომ ეს დრაივი და მუხტი მისცეს ხალხს. ამ 500.000 კაცს რომ იფარებენ ფარივით ის ადამიანები, ვინც დღეს პარლამენტში შევიდნენ, აქედან 25 კაციც არ არის მაგათი მომხრე.

***– ანუ სააკაშვილის რეიტინგია ის, რაც ნაცმოძრაობამ აიღო?***

– აქ არის იდეის რეიტინგი. სააკაშვილი ამ ყველაფრის მუხტია. რეალურად ხალხი მისდევს იდეას.

***– შეძლებს ორ ფლანგზე ბრძოლას სააკაშვილი?***

– სააკაშვილმა შეიძლება ნაპერწკალი მისცეს ამ ყველაფერს, თორემ დანარჩენს საზოგადოება გადაწყვეტს. მთავარი საზოგადოების განწყობაა, ის, თუ რა მოთხოვნაა საზოგადოებაში.

***– დღეს არ არის მოთხოვნა ნაციონალურ მოძრაობაზე.***

– თუ შეიძლება, დაწყებულს დავამთავრებ. თუ მოხდება ფართო ყრილობის მოწვევა, ამ ყრილობაზე თუ იქნება 6-7 ათასი ადამიანი, სრულიად სხვა კონსტრუქციას მივიღებთ პარტიაში და პარტია იქნება აბსოლუტურად გაჯანსაღებული. ეს მოძრაობა უკვე დაწყებულია და გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია.

ის ადამიანები, ვინც 12 წლის განმავლობაში ისხდნენ სავარძლებში, მოძველდნენ! მათ დიდი დამსახურება აქვთ და ამას არავინ უკარგავს. თუმცა ნებისმიერ პროცესს შეჯანჯღარება სჭირდება, ისე არაფერი გამოვა. პროცესი მდორე გახდება. ხოლო მდორე პროცესი ნაციონალური მოძრაობისთვის არ შეიძლება!

ნაციონალური მოძრაობა არის მოძრაობის, ენერგიის და პროგრესის პარტია. მდორედ ამ პარტიაში ვერაფერს გააკეთებ. როდესაც ნაცმოძრაობის წამყვანი ფიგურები გველაპარაკებიან დემოკრატიულ პროცესებზე, მაშინ დახურულ კაბინეტებში გადაწყვეტილებებს ნუ იღებენ.

# მუშების ცემის გამო 13 კაცი სამსახურიდან გაუშვეს

## ჩინური კომპანია დათმობაზე წავიდა

შორენა მარსაგიშვილი

**ზვარეში მომხდარი ინციდენტი ამოწურულია. რკინიგზელთა ახალი პროფკავშირების წარმომადგენლებმა და შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ ხელმძღვანელებმა შეთანხმებას მიაღწიეს. გაფიცული მუშები მუშაობას დღეს, 10 ნოემბერს განაახლებენ.**

ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეში სიტუაცია 2-3 ნოემბრის ღამეს დაიძაბა, როცა ადგილობრივები და ქართველი მუშები ჩინელ დამსაქმებლებს დაუპირისპირდნენ. დაპირისპირება სისხლიანი გამოდგა. 7 მუშა თავის არეში მიღებული ჭრილობებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ამ დაპირისპირებას საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თბილისსა და ზვარეში რამდენიმე საპროტესტო აქცია გაიმართა. ზვარეში დასაქმებული მუშები კი გაიფიცნენ.



გაფიცვიდან ერთი კვირის თავზე ჩინური კომპანიის წარმომადგენლები დათმობაზე წავიდნენ.

– საზოგადოების ერთად დგომამ თავისი შედეგი გამოიღო. „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ წარმომადგენლები დათმობაზე წავიდნენ. გაფორმდება ახალი ხელშეკრულება და სამუშაოებიც განახლდება, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში რკინიგზელთა ახალი პროფკავშირების თავმჯდომარემ ვიტალი გიორგაძემ.

მისი განცხადებით, ჩინური კომპანია მზად არის დასაქმებულთა მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

– „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ ხელმძღვანელობა დათანხმდა, რომ ინციდენტისას დაშავებული მუშების მკურნალობის ხარჯებს სრულად აანაზღაურებენ. ისინი გაიღებენ მათი რეაბილიტაციის ხარჯებსაც. ამის გარდა, ისინი მუშებს გაცდენილ დღეებსაც აუნაზღაურებენ, – ამბობს გიორგაძე.

რკინიგზელთა ახალი პროფკავშირების თავმჯდომარის თქმით, ჩინურმა კომპანიამ ის თანამშრომლებიც დაითხოვა, რომლებიც იმ ინციდენტის დროს განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ.

– თავიდან სამსახურიდან გაათავისუფლეს 7 თანამშრომელი, რომელთანაც მუშებს პრეტენზია ჰქონდათ. 3 მათგანი დაკავებულია, 4-მა გათავისუფლებულმა კი ქვეყანა დატოვა. ისინი ჩინეთში დაბრუნდნენ. მუშებს სხვებთანაც ჰქონდათ პრეტენზიები და ამ 7 კაცის ბედი კიდევ 6-მა გაიზიარა. საბოლოო ჯამში, ჩინურმა კომპანიამ 13 თანამშრომელი გაუშვა, – აღნიშნავს რკინიგზელთა ახალი პროფკავშირების თავმჯდომარე.

მისი განცხადებით, მიღწეული შედეგით პროფკავშირები და მუშებიც კმაყოფილები არიან.

– კომპანიის ხელმძღვანელად დაინიშნა ის პიროვნება, რომელსაც თავად მუშებმა გაუწიეს რეკომენდაცია. მისი მოადგილე იქნება ქართველი და ის გააკონტროლებს სიტუაციას. ამის გარდა, კომპანია შეასრულებს ერთი თვის წინ მიღწეულ შეთანხმებას, რაც შრომითი პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს, – ამბობს ვიტალი გიორგაძე.

მისი თქმით, საზოგადოებამ დასაქმებულთა უფლებების დარღვევის ნებისმიერ გამოვლინებაზე უნდა გამოხატოს რეაქცია.

# „საქართველოში მარიხუანას მოხმარება 13 წლამდე ბავშვებში აღემატება 11%-ს“

– საქართველოში არის საგანგაშო სიგნალი, მარიხუანას მოხმარება 13 წლამდე ბავშვებში აღემატება 11%-ს, მარიხუანას ლეგალიზაციასთან ერთად მოიმატებს მისი მომხმარებლის რაოდენობაც.

ამის შესახებ „კვირას“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელმა ლაშა კილაძემ განაცხადა.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ მოსახლეობაში ჩატარდა კვლევა თამბაქოს, ალკოჰოლის და სხვადასხვა ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების კუთხით.

ლაშა კილაძე აღნიშნავს, რომ საქართველოში მარიხუანა 13 წლამდე ასაკის მოზარდებში გასინჯული აქვს 11%, რასაც ის საგანგაშოდ თვლის.

– საგანგაშო სიგნალად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საქართველოში 13 წლამდე ბავშვებში მარიხუანას მოიხმარს 11%, ზოგადად, როცა მოხდება მარიხუანას ლეგალიზაცია, გაიზრდება მისი მომხმარებლის



რიცხვიც,“ – განაცხადა ლაშა კილაძემ.

იგი თვლის, რომ მარიხუანა არის ის ნარკოტიკი, რომელიც დამოკიდებულებას იწვევს და მითი იმაზე, რომ მარიხუანა არ არის მავნებელი, მცდარია.

– მარიხუანა იწვევს ფსიქიკურ აშლილობას, ის არის ისეთი ნარკოტიკული საშუალება, რომელიც იწვევს დამოკიდებულებას, ამიტომ კანონის მიღების დროს უნდა შეფასდეს რისკები.

ადამიანები ციხეში არ უნდა ხვდებოდნენ მარიხუანას მოხმარებისთვის, მაგრამ არც პედესტალზე არ უნდა აგვყავდეს და ტაშს არ უნდა ვუკრავდეთ, – განაცხადა ლაშა კილაძემ.

მისი აზრით, საკანონმდებლო ლიბერალიზაციის დროს, მოსახლეობა არ უნდა დარჩეს შეუიარაღებელი და აგრესიული პროპაგანდის პირისპირ.

ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარებით საქართველოს მონაცემი იდენტურია ევროპული ქვეყნების.

ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელი ლაშა კილაძე თვლის, რომ დროულად უნდა გატარდეს პრევენციული ღონისძიებები პრობლემის აღმოსაფხვრელად.

– საქართველოში თამბაქოს მოიხმარს 30% , ხოლო ალკოჰოლს 40%, ეს მონაცემებია თითქმის ევროპის ქვეყნებშიც. ქვეყანამ დროულად უნდა მოახდინოს პრევენცია თუ უკვე დაგვიანებული არ არის. ჩვენ გვქონდა ევროსაბჭოსთან არსებულ პრევენციის ჯგუფებთან მჭიდრო თანამშრომლობა, სადაც იყო განხილული რამდენიმე მოდელი, მათ შორის ეს ექსპერტები მუშაობენ ლიბერალიზაციის საფუძვლებზე.

**კვირა**

# გიგა ბოკერია: „მთელი რესურსი უნდა დაიხარჯოს ახალ პრეზიდენტთან კონტაქტის დამყარებაზე“




– საქართველოს ამოცანაა ახალ პრეზიდენტთან, მის ადმინისტრაციასთან ძალიან სწრაფად დაამყაროს კონტაქტები.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ „ქორთიარდ მარიოტში“ ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს მთავრობას აქამდეც უნდა ჰქონოდა მცდელობა ორივე საპრეზიდენტო კანდიდატის ბანაკთან კომუნიკაციის და კავშირის დამყარების.

– საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დახარჯოს მთელი თავისი რესურსი, რომ აშშ-ის დღის წესრიგში საქართველო იყოს რაც შეიძლება მაღლა. ეს არ იქნება მარტივი, ისედაც პრობლემები გვქონდა ამ მიმართულებით ჩვენი მთავრობის არაკომპეტენტურობის გამო.

საქართველოს უფრო ბევრად რთული მომენტები ჰქონია ისტორიაში, ამიტომ მოთქმას, შავბნელ პროგნოზებს არაფერი მოაქვს ქვეყნისთვის. პირიქით, მთელი რესურსი უნდა დაიხარჯოს ახალ პრეზიდენტთან კონტაქტის დამყარებაზე, – განაცხადა ბოკერიამ.

**ინტერპრესნიუსი**

# შოთა მალაშხია: „ტრამპის არჩევა, სააკაშვილის ახალი გეგმები და რულოვსის პროტესტი ერთი დიდი ჯაჭვის რგოლებია“

## „პოლიტიკოსები ხალხს ველარ ატყუებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ შოთა მალაშხიას.

***– ევროპარლამენტის დელეგაცია, რომელიც აკვირდებოდა საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში, გამოთქვამს იმედს, რომ მომავალი არჩევნებისთვის გამოსწორდება საარჩევნო სისტემის ხარვეზები. ამის გამოსწორება მოსალოდნელია?***

– საქართველოში მოქმედი საარჩევნო სისტემა რომ ხარვეზიანია, ამას ყველა აღიარებს. ოფიციალური მონაცემების მიხედვითაც კი, ბოლო არჩევნების დროს არჩეული პარლამენტი არ ასახავს ხალხის ნებას. ამ ციფრებით, არჩევნებზე მივიდა მოსახლეობის დაახლოებით 50%. აქედან ნახევარმა დაუჭირა მხარი „ქართულ ოცნებას“. ეს იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა ამ ძალამ მიიღო მხოლოდ 25-%-იანი მხარდაჭერით.

ეს ოფიციალური ციფრებია. არაოფიციალურად, მმართველ პარტიას უფრო ნაკლები აქვს მიღებული. ბევრად სამართლიანი იქნებოდა, რომ იყოს მხოლოდ პროპორციული სისტემა და პარლამენტში პარტიები შევიდნენ იმ პროპორციით, როგორ მხარდაჭერასაც რეალურად მიიღებენ.

***– არჩევნების შემდეგ გაისმის განცხადებები იმაზე, რომ მაჟორიტარული წესი უნდა შენარჩუნდეს. არადა, 8 ოქტომბრის წინ ცესკოს თავმჯდომარემაც კი აღნიშნა, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მაჟორიტარული სისტემა აღარ იქნება.***

– მაჟორიტარების შენარჩუნება ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევა. „ქართული ოცნების“ წევრები ამ იდეითაც გამოდიან. ზოგ ქვეყანაში პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს, მაგრამ იქ მრავალპარტიულობაა. ჩვენთან პრეზიდენტი უნდა აირჩიოს 25%-იანმა ერთპარტიულმა საკონსტიტუციო უმრავლესობამ. ხალხს ართმევენ პრეზიდენტის არჩევის უფლებას. პრეზიდენტად დასვამენ იმას, ვინც პირადად ბიძინა ივანიშვილს უნდა. თუ პრეზიდენტი პარლამენტიდან ირჩევა, იქ მრავალპარტიული შემადგენლობა უნდა იყოს.





***– ბოლო დროს მრავალპარტიულობაზე კი არა, პარტიების გაქრობაზე საუბრობენ. პოლიტიკიდან სუბიექტების გასვლა თქვენ ადრევე ივარაუდეთ.***

– მართლაც, ჩვენ გავხდით პარტიების გაქრობისა და დაშლის მოწმე. პოლიტიკური მინდორი ცარიელია. მსოფლიოში გავრცელდა ტენდენცია, რომ ხალხი აღარ უჯერებს დავარცხნილ და ყალბ პოლიტიკოსებს. ადამიანებს გაუჩნდათ მოთხოვნა გულწრფელ ლიდერებზე. ჩვენმა პოლიტიკოსებმა ბოლო არჩევნების წინ ბევრი ტყუილი დაპირება გასცეს. ეგონათ, რომ შეცდომაში შეიყვანდნენ პენსიონერებს, მაგრამ მოტყუვდნენ.

დღეს ყველგან არის მოთხოვნა არადაშტამპულობაზე, უშუალობაზე, პასუხისმგებლიან ნაციონალიზმზე. დონალდ ტრამპი ამერიკელებმა ასეთად მიიჩნიეს და მას მიანიჭეს უპირატესობა. ამის პროგნოზს ადრევე ვაკეთებდი. არადა, თავიდანვე ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ტრამპი იქნებოდა რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატი, შემდეგ კი წარმატებას მიაღწევდა. დონალდ ტრამპმა, ფაქტობრივად, მოუგო არა მარტო ამერიკას, არამედ მსოფლიოს. ნურავის ეგონება, რომ ის რუსეთისთვის სასარგებლო პოლიტიკას გაატარებს.

***– ტრამპი რუსეთის მიმართ მკაცრიც შეიძლება იყოს?***

– რასაკვირველია. წარმოუდგენელია, რომ პუტინმა აუხსნას კაცს, რომელმაც მსოფლიოს მოუგო, რატომ არ გადის სირიიდან, უკრაინიდან ან რატომ აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები! ტრამპს ასე იოლად ვერ დაუპირისპირდებიან. საყურადღებო მოვლენები ხდება უკრაინაში. იქაც სხვაგვარ პოლიტიკოსებზეა მოთხოვნა.

***– უკრაინის პოლიტიკაში ყოფნა სურს გუბერნატორის თანამდებობიდან გადამდგარ სააკაშვილს.***

– ეს არის ჭაობიდან ამოსვლის სურვილი. ბოლო დროს უკრაინის მაღალჩინოსნებმა ელექტრონული დეკლარაციები შეავსეს. აღმოჩნდა, რომ ლამის ყველა უკრაინელი ჩინოსანი მილიონერია. ამით გამოიკვეთა, რომ უკრაინა კორუფციაში იხრჩობა. მიხეილ სააკაშვილმა არ მოისურვა ამ ჭაობში დარჩენა.

***– შეკითხვები უკრაინულ მედიას სააკაშვილის შემოსავლების მიმართაც აქვს.***

– სააკაშვილი არ შედის იქაური კორუმპირებული და ყალბი პოლიტიკოსების სიაში. მას



შეუძლია, დაიწყოს მძლავრი ანტიკორუფციული მოძრაობა. ალბათ, შეუდგება მუშაობას ახალი სახელმწიფო სტრუქტურების, მაგალითად, საბაჟოს, პოლიციის შესაქმნელად. ერთი სიტყვით, ყველგან დიდი მოძრაობა და ახალი ტენდენციებია. ამის ფონზე საქართველოში გვაქვს პარლამენტი, რომლის უმრავლესობა ივანიშვილის ხუშტურებზე დადის. საკითხავია, „გააპრავებს“ თუ არა მის სურვილებს ნაციონალური მოძრაობის დეპუტაცია.

***– თქვენ მათ პარლამენტში შესვლას თავიდანვე არ ურჩევდით.***

– დიახ. ბოიკოტი იქნებოდა სამართლიანი რეაქცია იმაზე, რაც ქვეყანაში ხდება. პარლამენტზე უარს ამბობს სანდრა რულოვსი. ეს სწორი გადაწყვეტილებაა. შეიძლება ვთქვათ, რომ ტრამპის არჩევა, სააკაშვილის ახალი გეგმები და რულოვსის პროტესტი ერთი დიდი ჯაჭვის რგოლებია. სიყალბეს და კორუფციას ყველგან ებრძვიან. პოლიტიკოსებს, რომლებიც ერთს ფიქრობენ, მეორეს ამბობენ და მესამეს აკეთებენ, მომავალი არ გააჩნიათ.

# „თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება მცირდება“

## ვახტანგ მაისაია: „ლევან იზორია სამხედრო ტერმინებში ვერ ერკვევა“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო, პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ თავდაცვის სამინისტროში დაგეგმილი ოპტიმიზაცია სხვა არაფერია თუ არა სეკვესტრი.

***– ბატონო ვახტანგ, თავდაცვის სამინისტრო გენშტაბის, სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო პოლიციის მიმართულებით ოპტიმიზაციას გეგმავს. რას უნდა ველოდოთ?***

– როგორც სამხედრო სტრატეგიისა და თავდაცვის პოლიტიკის სპეციალისტმა შემიძლია გითხრათ, რომ თავდაცვის უწყებაში ხდება ჩვეულებრივი სეკვესტრი.

***– სეკვესტრი თავდაცვის ბიუჯეტის სიმცირით არის გამოწვეული?***

– დიახ, თავდაცვის ბიუჯეტის სიმცირით არის გამოწვეული.

***– გამორიცხავთ, რომ თავდაცვის უწყებაში არასაჭირო შტატებია?***

– შეიძლება. მაგრამ ფაქტია, რომ თავდაცვის ხარჯები მცირდება. როგორც ჩანს, თავდაცვის ბიუჯეტთან დაკავშირებით არის პრობლემები.

***– თავდაცვის ბიუჯეტის სეკვესტრი რას გამოიწვევს?***

– არაფერ კარგს. ეს არის მხოლოდ მექანიკური ტიპის თავდაცვის ხარჯების შემცირება – სეკვესტრი. ეჭვი მეპარება, ამას რაიმე სერიოზული კონცეპტუალური საფუძველი ჰქონდეს. თავდაცვის პოლიტიკა გადადის ნაკლებად მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებაზე.

***– იზორია მინისტრად რომ დაინიშნა, განაცხადა, რომ საღი გონების პოლიტიკაა საჭირო. იქნებ ახლა საღი გონების პოლიტიკით მოქმედებს მთავრობა და მინისტრი?***

– არ ვიცი, მთავრობა როგორ მოქმედებს, მაგრამ თავდაცვის მინისტრის გამოსვლაში საღი აზრი ვერ დავიჭირე.



***– რატომ ფიქრობთ ასე?***

– რაც ილაპარაკა სამხედრო მინისტრმა მისი 100-დღიანი მუშაობის შეჯამებისას, ეს იყო მიუღებელი მოხსენება. თავდაცვის ძირეულ რეფორმებზე საუბრის ნაცვლად, ისეთი რაღაცები თქვა, რაც მიუღებელია სამხედრო სტრატეგიული დაგეგმარებისთვის.

***– რა თქვა?***

– მან თქვა, რომ ისეთი ქვეყანა, როგორიც არის საქართველო – შავი ზღვის თალასოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია 220 კმ-იანი საზღვაო სანაპირო ზოლი – არ უნდა ჰყავდეს სამხედრო ფლოტი. სამხედრო-საზღვაო ფლოტსა და სამხედრო-საზღვაო ძალებს შორის განსხვავება ელემენტარულია. ეს იგივეა, რომ საქართველოს ჰყავდეს სტრატეგიული დანიშნულების ძალები. საქართველოს ფლოტის არსებობა გამორიცხულია. ფლოტი არის დიდი სახელმწიფოების ხვედრი.

***– იგივე თქვა თავდაცვის მინისტრმაც.***

– გასაგებია, მაგრამ ტერმინებით ლავირება ძალიან კარგია არაპროფესიონალებისთვის. თავდაცვის მინისტრი პროფესიონალური ტერმინებით უნდა საუბრობდეს. როცა თავდაცვის მინისტრი ელემენტარულად ვერ ერკვევა ტერმინებში, ეს არის საშინელება.

***– კონკრეტულად რა ტერმინი არ იცოდა თავდაცვის მინისტრმა?***

– არსებობს სამხედრო-საზღვაო ძალები, რომელიც ოპტიმალური ვარიანტია ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც არის საქართველო. არის სამხედრო-საზღვაო ფლოტი, არის სამხედრო-საზღვაო ძალები და სამხედრო-საზღვაო დაჯგუფება. დავუშვათ, ქვეყანას შეიძლება ჰყავდეს მცირე დახურული ტიპის სამხედრო-საზღვაო შენაერთები. სამხედრო-საზღვაო ძალები ნიშნავს, რომ მცირე და საშუალო სამხედრო ტიპის გემების ყოლის შემთხვევაში, ქვეყანა შეძლებს იმ ამოცანების შესრულებას მინიმალურ დონეზე, რომელიც ნიშნავს მტრის მოგერიებას ზღვიდან, რაც აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის.

***– მინისტრმა განაცხადა, ფლოტის შექმნა შეუძლებელია.***

– დიახ, ფლოტის შექმნა საქართველოსნაირი ქვეყნისთვის არარეალურია. ფლოტს, ელემენტარულად, ვერ შევქმნით იმის გამო, რომ ჩვენ ამის ბიუჯეტი არ გაქვს, მაგრამ იმის თქმა, ფლოტი კატეგორიულად არ უნდა გვყავდესო, იმას ნიშნავს, სამხედრო-საზღვაო კომპონენტი არ უნდა გვყავდეს. სამხედრო-საზღვაო კომპონენტის არ არსებობა არასწორია. ჩვენ ვართ საზღვაო სახელმწიფო და სამხედრო-საზღვაო ძალები გვჭირდება.

***– შეიძლება რაღაც ტერმინოლოგიური აცდენა იყო, მაგრამ რაღაც სახის სამხედრო-საზღვაო კომპონენტის ყოლა მინისტრმაც არ გამორიცხა.***

– შეიძლება. შეიძლება მისმა მრჩევლებმა არასწორად ურჩიეს. გასაგებია, თავდაცვის მინისტრი ახალი ფიგურაა. არ ჰქონია შეხება თავდაცვის პოლიტიკასა და სტრატეგიასთან. ამიტომ ასეთი გადაცდომები ბუნებრივ მომენტად მიმაჩნია. მთავარია, რა მესიჯებზეა საუბარი.

***– თქვენ რა მესიჯი არ მოგეწონათ?***

– სამწუხაროდ, ვერ დავინახე ფუნდამენტური მიდგომები, რაც წინა მინისტრებიდან მოყოლებული მომდინარეობს. წინა მინისტრების პერიოდიდან ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკა არ იყო დამყარებული სწორი, რაციონალური მიდგომების პრინციპებზე.

***– როდესაც იზორია მინისტრად დანიშნა, პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ მთავარია თავდაცვის უწყება არ იყოს პოლიტიზირებული. ამ კუთხით როგორ აფასებთ სიტუაციას?***

– პრემიერ-მინისტრის მოსაზრება აბსოლუტურად სწორი, ადეკვატური და ლოგიკურია. ჩვენ უკვე ვნახეთ, მაკრო და მიკრო-დიქტატორების ქმედებამ რა მოგვიტანა. ჩვენ გვაქვს მიხეილ სააკაშვილის მაგალითი, რომელმაც წარმოშვა ისეთი პრობლემები, რომელიც საქართველოსთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. მან შეიარაღებული ძალები გამოიყენა პოლიტიკური მანიპულაციებისთვის, დემოკრატიის წინააღმდეგ.

იმედია, თავდაცვის ახალი ხელმძღვანელობის პირობებში თავდაცვის უწყების პოლიტიზირება ისტორიას ჩაბარდება. ამაში ვეთანხმები ბატონ გიორგი კვირიკაშვილს. ის სწორად ხედავს და სწორი მიმართულებით ავითარებს თავის ხედვას. არ მიმაჩნია სწორად თავდაცვის უწყებაში ძალოვანი სტრუქტურების კადრების დანიშვნა. ეს კარგად გამოჩნდა წინა მი-



ნისტრების ალასანიასა და ჯანელიძის პირობებში. ასევე კეზერაშვილი და ახალაია იყვნენ ყველაზე ოდიოზური პირები მინისტრის თანამდებობაზე და რა მდგომარეობამდე მიიყვანეს მათ ქვეყანა, ვიცით.

***– როდესაც იზორიამ რეფორმები დააანონსა, თქვა, რომ უწყება თავდაცვის მაღალ ხარისხს უნდა ემსახურებოდესო.***

– ეს იმას ნიშნავს, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა უნდა გაიზარდოს. თავდაცვის მაღალი ხარისხი იქნება მაშინ, როცა ქვეყანა აქცენტს აკეთებს თავდაცვის სტრატეგიაზე, რომელიც ორიენტირებულია გარე საფრთხეებზე.


**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გაგრძელდება თუ არა ბათუმში ტრამპ თაუერის მშენებლობა



აშშ-ში მიმდინარე საარჩევნო ციებ-ცხელება მთელს მსოფლიოს გადაედო. დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რა ელოდება მსოფლიოს ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მაშინ, როცა ყველასთვის ცნობილია დონალდ ტრამპისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სიმპათიების შესახებ.

საზოგადოებაში გავრცელებული სხვადასხვა აზრის მიუხედავად, საინტერესოა დონალდ ტრამპის საქართველოსთან კავშირი.

დონალდ ტრამპი საქართველოში 2012 წლის 12 აპრილს იმყოფებოდა, როცა ბათუმში ტრამპ თაუერის პრეზენტაცია მოეწყო. პრეზენტაციას თავად ბიზნესმენი და საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ესწრებოდნენ.

სააკაშვილის თქმით, ეს პროექტი იქნებოდა ერთ-ერთ ძვირადღირებული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქართველოსთვის.

ჟურნალისტების წინაშე სიტყვით გამოვიდა თავად დონალდ ტრამპიც.

– ჩემთვის დიდი პატივია, რომ საქართველოში ვიმყოფები. გიორგი რამიშვილს (სილქ როუდ ჯგუფის ხელმძღვანელი, საქართველოში ტრამპის პარტნიორი) დიდი ხანია ვიცნობ და ის არასოდეს არ ჩერდება. ჩემი გუნდი კარგად იცნობს სიტუაციას და ამიტომ დავთანხმდით აქ შემოსვლას.

ის ხალხი, ვინც ბათუმში ცხოვრობს, ყველაფრის მომსწრეა და ეს მათთვის კეთდება, თუმცა მე მათ მინდა ვუთხრა, რომ ქვეყნის გარეთ ყველა თქვენზე საუბრობს, ბატონო პრეზიდენტო და თქვენ ხართ დიდი ადამიანი. მე აქ ბრწყინვალე დღეები გავატარე და ბევრჯერ ჩამოვალ საქართველოში, – აღნიშნა ტრამპმა, ბათუმში ტრამპ თაუერის პრეზენტაციისას.

* * *

ტრამპის ორგანიზაციასა და სილქ როუდ ჯგუფს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება აშშ-ში 2011 წელს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა.

პროექტს სილქ როუდ ჯგუფი ხელმძღვანელობს, ქართული კონგლომერატი, რომელსაც ტრანსპორტირების, ტელეკომუნიკაციების, საბანკო და უძრავი ქონების სფეროებში ბიზნესინტერესები აქვს.

ტრამპ თაუერის თანამედროვე 47-სართულიან შენობაში 80-დან 700 კვადრატულ მეტრამდე ფართობის ბინები უნდა განთავსებულიყო, რომლებსაც ხედები შავი ზღვის სანაპიროსკენ ექნებოდა.

მიუხედავად პროექტის საზეიმო წარდგენისა, ის ვერ განხორციელდა. საზოგადოებაში უკვე გაჩნდა უამრავი შეკითხვა, შესაძლოა თუ არა, რომ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პროექტი ისევ განხორციელდეს, ან პროექტი ხომ არ შეჩერებულა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის გამო.

ამ საკითხებზე ჩვენ სილქ როუდ ჯგუფის პიარისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელ აკო ახალაიას ვესაუბრეთ.

– დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ან წაგებას არანაირი კავშირი არ აქვს ჩვენი პროექტის შეჩერებასთან. ჩვენ მის ორგანიზაციასთან გვაქვს მოქმედი ხელშეკრულება, შესაბამისად, მხოლოდ ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული, თუ როდის განხორციელდება ეს პროექტი, – გვითხრა აკო ახალაიამ.

***– რატომ შეჩერდა პროექტი?***

– მაშინ, როცა ბათუმის ტრამპ თაუერს ჩაეყარა საფუძველი, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში განსხვავებული, უფრო მშვიდი პოლიტიკური ვითარება იყო, იმ ბაზრებში, რომელთაც უნდა ეყიდათ უძრავი ქონება (უკრაინა, აზერბაიჯანი და სხვა მეზობელი ქვეყნები). ჩვენ ვართ ბიზნეს ორგანიზაცია, რომელიც პროექტს აკეთებს იმიტომ, რომ ნახოს მოგება და იყოს წარმატებული. დღეს კი, ჩვენი ინფორმაციით, ამხელა პროექტის მშენებლობას აზრი არ აქვს, რადგან ის არ იქნება მომგებიანი და არ იქნება გამართლებული.

***– შესაძლებელია თუ არა, რომ ეს პროექტი ისევ განახლდეს და ბათუმის ტრამპ თაუერი აშენდეს?***

– თუ რეგიონში ისევ იქნება მოთხოვნა პრემიუმ და მაღალი კლასის საცხოვრებლებსა და ფართებზე, მაშინ ამ პროექტს განვახორციელებთ. ამჟამად ტრამპის კორპორაციასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, კიდევ როგორ შეიძლება შეიცვალოს პროექტი. თავიდან თუ იყო 47-სართულიან შენობაზე საუბარი, შესაძლებელია, მშენებლობა უფრო მცირე მასშტაბით დავიწყოთ.

ამ ეტაპზე რამე კონკრეტულზე არ ვართ შეთანხმებულები. დონალდ ტრამპთან სალიცენზიო ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული, რაც ნიშნავს, რომ იყენებ ბრენდს და, გარდა ამისა, ბევრ სხვა სიკეთეს, რომელსაც კონფიდენციალურობის გამო ვერ გავახმოვანებთ.

ასევე, საუბარი იყო 250-დან 300 მილიონამდე ინვესტიციაზე, რომელიც თაუერის აშენებას სჭირდებოდა და რომელიც სრულად უნდა ჩაედო სილქ როუდ ჯგუფს.

**ეკა გადახაბაძე, ამბები.გე**

# ოთარ ანგურიძე: „წლის ბოლოსთვის ლარი სტაბილურ პოზიციას დაუბრუნდება“

**ნათია ხურცილავა**



**ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანგურიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ ლარის დევალვაციას ხშირ შემთხვევაში განაპირობებს მაღალი დოლარიზაციის მაჩვენებელი, რომელიც ქვეყანაშია.**

***– ბატონო ოთარ, ლარის კურსის ასეთ რყევებს ზოგადად რა განაპირობებს? რატომ არის ის არასტაბილურ მდგომარეობაში და რამდენად არის კურსის სტაბილიზაცია შესაძლებელი?***

– ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაცია სავსებით შესაძლებელია. ზოგადად ლარის რყევებს განაპირობებს საგარეო ვალის მომსახურება და ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინება. უმთავრესად დღეს ქვეყანაში დოლარის შემცირება იწვევს ლარის მასობრივ სიჭარბეს. ამ შემთხვევაში სავსებით ბუნებრივად ირღვევა წონასწორობა ლარსა და დოლარს შორის. თუმცა, ბოლო დღეების მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ლარი სტაბილურობისკენ მიდის. ამიტომ სავსებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ წლის ბოლოდან და მომავალი წლისთვის ლარი წონასწორობის ნიშნულს შეინარჩუნებს და იქნება სტაბილურ პოზიციაზე.

***– ძირითადად რა განაპირობებს ეროვნული ვალუტის ასეთ დევალვაციას? სად არის მთავარი პრობლემა ეკონომიკაში?***

– კონკრეტულად ამ თვალსაზრისით, რაზეც მეკითხებით, ეკონომიკაში არ არის პრობლემა, რადგან ქვეყნის მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლები სტაბილურია. ყოველ შემთხვევაში, გაუმჯობესებულიც კი არის. თუმცა, აქ მთავარი პრობლემა მომდინარეობს იქიდან, რომ ქვეყანაში ძალიან მაღალია დოლარიზაციის მაჩვენებელი. ჩვენი მოსახლეობა მეტწილად დანაზოგს დოლარში აკეთებს. ეს არის ყველაზე მთავარი პრობლემა. დოლარიზაციის მაჩვენებლის შემცირება ჩვენი ეკონომიკისა და ლარისთვისაც უკეთესი იქნება.

***– როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იყო ქადაგიძე, ძირითადად მას აბრალებდა ექსპერტთა ნაწილი, პარლამენტის უმრავლესობის ნაწილიც ლარის დევალვაციას. დღეს არ არის ქადაგიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, მაგრამ ჩვენ იგივე მდგომარეობა გვაქვს. ეროვნული ბანკის პოლიტიკა რამდენად განსაზღვრავს ეროვნული ვალუტის ირგვლივ შექმნილ ვითარებას?***

– რა თქმა უნდა, განსაზღვრავს. მე ვფიქრობ, რომ ზაფხულში, როდესაც ეროვნულმა ბანკმა რამდენჯერმე შეამცირა მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების განაკვეთი, ცოტა იჩქარა.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ იმ პერიოდში სავსებით იყო შესაძლებელი, რომ გაკეთებულიყო პროგნოზი, რომ წლის ბოლოსთვის შესაძლებელი იყო, ლარი გაუფასურებულიყო. თუ ეროვნული ბანკი ამ საფრთხეს წინასწარ განსაზღვრავდა და წინასწარ დაიჭერდა თადარიგს, ლარის ასეთი დიდი გაუფასურება არ მოხდებოდა. მეორე ფაქტორი, რაც შეიძლება ამ პროცესს განაპირობებდეს, არის ის აჟიოტაჟი, რომელიც ახლავს ხოლმე ლარის გაუფასურებას. მოსახლეობაში ჩნდება შიში, რომ ლარი კვლავ გაუფასურდება, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს ხოლმე ლარის გაუფასურებას.

რამდენად არის ლარის გაუფასურებაში ეროვნული ბანკის ბრალეულობა? თუ ჩვენ ვნახავთ ეროვნული ბანკის შესაძლებლობებს, მაშინ მივხვდებით, რა დონის ბრალეულობაზე შეიძლება იყოს საუბარი.

***– და როგორია ეს შესაძლებლობები?***

– ძალიან ბევრი შესაძლებლობა აქვს სწორედ მოცემულ მომენტში ეროვნულ ბანკს, რომ მოხდეს ლარის კურსის სტაბილიზაცია და არ გვქონდეს ყოველდღიური რყევები. ეროვნული ბანკის ქმედებები უფრო მყისიერი უნდა იყოს. ამისთვის კი საჭიროა პირველ რიგში კანონმდებლობის ცვლილება, განსაკუთრებით „ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის, რასაც საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდება. თუ მე-9 მოწვევის პარლამენტი ყურად იღებს ამ საკითხს, ძალიან კარგი იქნება.

***– კონკრეტულად რას უნდა უკავშირდებოდეს ეს ცვლილებები?***

– ძალიან ბევრი სფეროა, რომელიც ითხოვს გარკვეულ კონტროლს, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ასევე სავალუტო ჯიხურები, და ა.შ. ეს ყველაფერი პირდაპირ ახდენს გავლენას ქვეყანაში საფინანსო სექტორის სტაბილურობაზე.

ამიტომ, ასეთი სისტემები თუ არ მოხდა გარკვეული რეგულირების ქვეშ, ბევრი პრობლემა შეგვექმნება როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე ზოგადად მთავრობის მუშაობაში. ამდენად, აუცილებელია ამ მიმართულებით კანონმდებლობის გაუმჯობესება. მათ შორის, ეროვნულ ბანკს უნდა ჰქონდეს უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში.

**ეკა გადახაბაძე, ამბები.გე**

# ალპური ოქრო — შვეიცარიელების მიერ ადიგენში წარმოებული ყველი



შვეიცარიელმა ფრენსის ბელსერმა ყველის წარმოების სკოლაში დაბადებული იდეა, წლების შემდეგ საქართველოში განახორციელა.

მეგობართან და ქართველ პარტნიორთან ერთად დაწყებული ბიზნესი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. კომპანიის საშუალო წლიური წარმოება ერთ ტონაზე მეტია, სამომავლოდ კი 3-3,5 ტონა ალპური ყველის წარმოებას გეგმავენ.

– საქართველოსა და შვეიცარიას საერთო ბევრი აქვს, ამიტომაც დავინტერესდი საქართველოში ბიზნესის დაწყებით. დავიწყეთ შვეიცარიული ყველის წარმოება, რომელსაც „ალპური ოქრო“ დავარქვით, – ამბობს ბიზნესპრესნიუსთან საუბარში შვეიცარიელი მეწარმე ფრენსის ბელსერი.

პარტნიორებმა საქართველოში საქმიანობა ორი წლის წინ დაიწყეს საწყისი 100.000 ლარის ოდენობის ინვესტიციით.

კომპანია ამ ეტაპზე ერთი ტიპის შვეიცარიულ ყველს აწარმოებს, მომავალში კი კარაქისა და ახალი ყველის წარმოებასაც აპირებს.

– საქართველოში შვეიცარიული მეთოდით დამზადებული ყველის ნაკლებობაა. ქვეყანას დიდი ტურისტული და გასტრონომიული მომავალი აქვს და ჩვენ გვინდა მისი ნაწილი გავხდეთ. სწორედ ამიტომ დავიწყეთ ალპური ყველის წარმოება.

ბაზარზე არსებული თავისუფალი ნიშის ათვისების გარდა, ჩვენ ადიგენის რაიონის ალპურ ზონას განვითარებაში ვეხმარებით. ალპური ყველის წარმოება ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი ფერმერებისთვის, ვისგანაც რძეს ვყიდულობთ, – განმარტავს ბელსერი.

წარმოება იმ ფერმერებთან თანამშრომლობს, რომლებიც ყოველ ზაფხულს საკუთარ ძროხებს ალპურ ზონაში 2.200 მეტრზე აძოვებენ, სადაც სრულიად განსხვავებული კლიმატი და ბალახია.

მეწარმის განმარტებით, ალპური ყველი განსხვავდება მთის ყველისგან. ალპური ყველი სეზონური პროდუქტია, რომელიც ალპურ საძოვრებზე გაშვებული ძროხის, ცხვრისა და თხის რძისგან ზაფხულობით იწარმოება. მთის ყველი კი მთიან რეგიონებში მთელი წლის განმავლობაში მზადდება, მათ შორის ზამთარშიც, როცა ცხოველები თივით იკვებებიან.

1 კგ ალპური ყველის ფასი 50-დან 55 ლარამდე მერყეობს. ყველზე მოთხოვნა ძირითადად სასტუმროებისა და რესტორნებისგან, შეფმზარეულებისგანაა.

– ჩვენ წარმოების გაფართოებას ვაპირებთ, მაგრამ გაზრდილი მოცულობის სრული რეალიზაციაც საქართველოში მოხდება. ასეთი ტიპის პროდუქციის ექსპორტი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ქართულ ბაზარს კი ნამდვილად სჭირდება შვეიცარიული ყველი. ასე რომ, ჩვენი პროდუქტის საზღვრებს გარეთ გატანას არ ვგეგმავთ, – აღნიშნა ფრენსის ბელსერმა.

შვეიცარიელმა მეწარმემ ასევე ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში ბიზნესის წარმოება საკმაოდ მარტივია.

– სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ბიზნესი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არაა იოლი სამართავი. მას სჭირდება გამძლეობა, ცოდნა, საქმის დიდი სიყვარული, პატივისცემა. აუცილებელია, გიყვარდეს ის ადამიანები, ფერმერები, ვისთან ერთადაც მუშაობა გიწევს. გულწრფელი უნდა იყო ფერმერებთან. ნდობა ერთ დღეში არ ყალიბდება. ჩვენ ერთობლივად ვცდილობთ საქმის წარმოებას. ყველაზე მთავარი კი ცხოველების პატივისცემაა, – განმარტავს ფრენსის ბელსერი.

**ნანა მღებრიშვილი, ბიპიენი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ლარი გაუფასურდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4546 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.4462 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0084 ლარი შეადგინა. ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.7236 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.7031 ლარს შეადგენდა.

შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0205 ლარი შეადგინა.

# დონალდ ტრამპი ამერიკის 45-ე პრეზიდენტი გახდა

აშშ-ს 45-ე პრეზიდენტის არჩევნები უჩვეულოდ დაძაბული გამოდგა.

თავდაპირველად ფავორიტად ჰილარი კლინტონი ითვლებოდა. გფბ-ს დირექტორის კომის განცხადების შემდეგ ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ ვითარება დაიძაბა. მისის კლინტონის 12%-იანი უპირატესობა თოვლის გუნდასავით გაქრა. მართალია, შემდგომში გფბ-მ ჰილარი კლინტონს ბრალდებები მოუხსნა, მაგრამ განსხვავება მასა და ტრამპს შორის შემცირდა. ჰილარი კლინტონი მეტოქეს უსწრებდა, მაგრამ უდავო ფავორიტი უკვე აღარ იყო. ბრძოლაც მძაფრი და დაძაბული უნდა ყოფილიყო

თავდაპირველად მოვლენები თითქოს ჰილარი კლინტონის სასარგებლოდ ვითარდებოდა. ტრამპი აშკარად ნერვიულობდა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ხმებს არასწორად ითვლიან. ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე სკანდალიც მოხდა და ტრამპის წარმომადგენელმა სასამართლოს მიმართა. ლოს ანჯელესში საარჩევნო უბნის მახლობლად სროლა ატყდა.

დღის ბოლოს გამოიკვეთა ტრამპის უპირატესობა. ტრამპმა გაიმარჯვა ისეთ გადამწყვეტ შტატებში, როგორებიცაა ფლორიდა და ჩრდილოეთ კაროლინა. ამერიკის ახალი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდა.

— ჰილარი კლინტონმა პირველმა დამირეკა და გამარჯვება მომილოცა. მე მას მადლობა გადავუხადე, — თქვა ტრამპმა.

მილიარდერის გამარჯვებამ ევროპაში ნამდვილი შოკი გამოიწვია.

გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ურსულა ფონ დერ ლიაინმა განაცხადა, რომ მომხდარით შოკირებულია. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერომ აღნიშნა, რომ ტრამპის გამარჯვება ევროპისთვის საგანგაშო სიგნალია. ყველაზე პესიმისტური გერმანის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ექსპერტის ნორბერტ რიოტგენის განცხადება იყო:

— ტრამპის გამარჯვება მანიშნებელია იმისა, რომ ევროპა, შესაძლოა, რუსეთის პირისპირ მარტო აღმოჩნდეს.

დიამეტრალურად განსხვავებულია აშშ-ს ელჩის რუსეთში ჯონ ტეფტის შეფასება. მან თქვა, რომ ტრამპის გამარჯვებით რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობებში არაფერი შეიცვლება.

— არსებობს სადავო საკითხები, რომლებიც გადაწყვეტას საჭიროებენ. უწინარეს ყოვლისა, ესაა სირია და უკრაინა. რუსეთ-აშშ-ს ინტერესები ერთმანეთს მწვავედ ეჯახება ევროპასა და აზიაში.

ტეფტის აზრით, ტრამპი მართლაც შეეცდება, პუტინთან საერთო ენა გამოძებნოს. გაიმართება მოლაპარაკებები, თუმცა ტეფტი პესიმისტურადაა განწყობილი.

— პუტინი ამ ეტაპზე დათმობისთვის მზად არ არის. ის მოითხოვს, რომ ამერიკამ უკან დაიხიოს, ამას კი არავინ დაუშვებს.

მსგავს პოზიციაზეა უკრაინელი ექსპერტი ტარას ჩერნოვილიც. ის მიიჩნევს, რომ ვისაც არ უნდა გაემარჯვა, ყველა თავის მოღვაწეობას რუსეთთან მოლაპარაკებით დაიწყებდა, თუმცა ვერც ტრამპი, ვერც კლინტონი ამ ეტაპზე მოლაპარაკებით დადებით შედეგს ვერ მიაღწევენ.

— პუტინის ტაქტიკა მარტივია. მას სურს რუსეთი წარმოაჩინოს დიდ სახელმწიფოდ, რომლის გარეშეც ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ვერ გადაწყდება. პუტინს სურს, უკან დაახევინოს ამერიკას სირიაში, აგრეთვე აიძულოს, ის ევროპიდანაც წავიდეს. ამავე დროს, პუტინს არ გააჩნია რესურსები ამის განსახორციელებლად.



ჩერნოვილის აზრით, ტრამპი რუსეთთან ურთიერთობებში უფრო ემოციებით იხელმძღვანელებს, ვიდრე პრაგმატული მოსაზრებებით. ჰილარი კლინტონისგან განსხვავებით, ის არ არის პროფესიონალი პოლიტიკოსი, ამიტომ მისი პროგნოზირება გაცილებით უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ჰილარი კლინტონის.

— თუკი მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა, რისი ალბათობაც დიდია, არ არის გამორიცხული, რუსეთ-აშშ-ს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბოს. ამ დროს ტრამპის მოქმედებების პროგნოზირება გაცილებით ძნელი იქნება, ვიდრე კლინტონისა იქნებოდა.

ამრიგად, ამერიკამ 45-ე პრეზიდენტი აირჩია. ის დონალდ ტრამპი გახდა. მან საჯაროდ გადაუხადა მადლობა ჰილარი კლინტონს მილოცვისთვის და აღნიშნა, რომ ჰილარიმ ქვეყნისათვის ძალზე ბევრი გააკეთა.

— მე ყველა ამერიკელის პრეზიდენტი ვარ, მნიშვნელობა არ აქვს, რესპუბლიკელებს დაუჭირა მან მხარი თუ დემოკრატებს. მე ამერიკის დიდებას აღვადგენ! — განაცხადა ტრამპმა.



## გერმანიაში ისლამისტი ექსტრემისტები დააპატიმრეს

გერმანიის პოლიციამ დააპატიმრა 5 პიროვნება, რომელთაც ბრალი ედებათ ექსტრემისტულ ორგანიზაცია ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირი.

მათ მოვალეობას მოხალისეთა შეგროვება, შემდგომ კი მათი სირიაში გადასროლა შეადგენდა.

დაკავებულთა შორისაა ცნობილი ირანელი ექსტრემისტი, რომლის ფსევდონიმიცაა აბ ბაასი.

5 დაკავებულიდან 1 ალჟირელია, 2 — კამერუნელი.

## ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების შემოღებას აპირებს



სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პეტერ კაზიმირმა განაცხადა, რომ ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ ახალ სანქციებს შემოიღებს.

მან არ დააკონკრეტა, რა სახის იქნება ეს ზომები. კაზიმირმა განაცხადა, რომ რუსეთი ყირიმის ანექსიისა და დონბასში ომის გაჩაღებისთვის ისჯება.

— საერთაშორისო საზოგადოება ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს, — თქვა კაზიმირმა.



## იგორ სმეშკო: „რუსეთს იმპერიის აღდგენის რესურსი არ გააჩნია“

უკრაინის სამხედრო დაზვერვისა და უშიშროების სამსახურის ყოფილმა უფროსმა იგორ სმეშკომ განაცხადა, რომ პუტინს იმპერიის აღდგენა სურს.

რუსეთის პრეზიდენტის მიზანია, წარმოაჩინოს თავისი ქვეყანა გლობალურ მოთამაშედ, რომლის გარეშეც ვერც ერთი სერიოზული საკითხი ვერ გადაწყდება.

სმეშკოს აზრით, რუსეთი ცდილობს, აღიდგინოს პოზიციები პოსტსაბჭოთა სივრცეში და გააძევოს ამერიკელები ევროპიდან. სწორედ ამიტომ დაიწყო კრემლმა ევრაზიული კავშირის შეკოწიწება, მოახდინა ყირიმის ანექსია, გააჩაღა ომი დონბასში. სწორედ ამ მიზნით ხდება ფორმირება ანტიდემოკრატიული ექსტრემისტული ორგანიზაციებისა, ისეთებისა, როგორიცაა ნაციონალური ფრონტი საფრანგეთში, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ინგლისში და ა.შ.

— რუსეთს თავისი იმპერიული გეგმების განხორციელებისთვის არავითარი რესურსი არ გააჩნია! პუტინს აქვს სტრატეგია, მაგრამ არ აქვს საკმარისი ძალა, რათა ეს სტრატეგია განახორციელოს, — თქვა სმეშკომ.

გენერალმა აღნიშნა, რომ დასავლეთს რუსეთზე ბევრად უფრო მეტი რესურსი გააჩნია. აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნების არმიები რუსეთისაზე ბევრად უფრო ძლიერია. დასავლეთის სპეცსამსახურებიც რუსულზე ძლიერია. დასავლეთის მხარესაა ეკონომიკური და ტექნოლოგიურ უპირატესობა, რაც დღეს გადამწყვეტია.

— შექმნილია პარადოქსული ვითარება: რუსეთს არ გააჩნია რესურსები, მაგრამ აქვს იმპერიის აღდგენის კონკრეტული სტრატეგია; დასავლეთს გააჩნია რესურსები, მაგრამ არ აქვს რუსეთის აგრესიის განეიტრალების სტრატეგია, — თქვა სმეშკომ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

## შანხაის ხელისუფლება ტორტის მსგავსმა შენობამ აღაშფოთა



ჩინეთის ქალაქ შანხაის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოითხოვეს ვაიტანის სანაპიროს რაიონში ნაგებობის საზეიმო გაფორმების დემონტაჟი, რომელიც მას გიგანტურ ფენოვან ტორტს ამსგავსებდა.

რვასართულიანი სახლი ამგვარად ორი დღის წინ გააფორმეს, რაც მასში განთავსებული ერთ-ერთი კომპანიის იუბილეს უკავშირდებოდა. მათ პატივსაცემად კედლებზე ვარდისფერი და თეთრი ფერის ქსოვილები გააკრეს, ხოლო ზედა სართულები უზარმაზარი წითელი ხილით დაამშვენეს.

შენობის ახალი გაფორმება სიურპრიზი აღმოჩნდა ქალაქის ხელისუფლებისთვის. მათი თქმით, ასე გაფორმებული ნაგებობა არ შეეფერება რაიონის მკაცრ კოლონიალურ არქიტექტურას და მოითხოვეს, მისთვის დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ თავდაპირველი სახე.

მუშები იმავე საღამოს შეუდგნენ საზეიმო გაფორმების ჩამოხსნას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**კალეიდოსკოპი**



## მსოფლიოს ყველაზე აყვავებული ქვეყანა ახალი ზელანდიაა

2016 წლის მსოფლიოს ყველაზე განვითარებად ქვეყნად ახალი ზელანდია დასახელდა. ასეთ დასკვნამდე ბრიტანულ ორგანიზაცია ლეგითას ინსტიტუტში მივიდნენ, რომელიც ყოველწლიურად ადგენს რეიტინგს.

შვიდი წლის მანძილზე ნორვეგია ლიდერობდა ბრიტანული ორგანიზაციის რეიტინგში, ამჯერად კი ეს ქვეყანა მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა და პირველი ადგილი ახალ ზელანდიას დაუთმო, რომელსაც განათლების, უსაფრთხოებისა და ეკოლოგიის გარდა, ყველა მაჩვენებელში ჩამორჩა. მესამე ადგილზე გავიდა ფინეთი. ეს ქვეყანა საუკეთესოდ ხელისუფლების ეფექტურობის, დემოკრატიის განვითარებისა და კანონის უზენაესობის კუთხით აღიარეს.

შვეიცარიამ, რომელიც განათლების სფეროში ლიდერობს, რეიტინგში მეოთხე ადგილი დაიკავა. მას მოჰყვებიან კანადა, ავსტრალია, ჰოლანდია, შვედეთი და დანია. დიდი ბრიტანეთი, რომელიც ერთი წლის წინ მე-15 ადგილზე იმყოფებოდა, ამჯერად მეათე ადგილზე გავიდა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

# ვლადიმირ ვაისი: „მოლდოვა უნდა დავაფასოთ“



საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, მოლდოვასთან მატჩისთვის მზადების ფარგლებში თბილისის ზღვაზე მდებარე საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის საწვრთნელ ბაზაზე ორჯერადი ვარჯიში ჰქონდა.

ვლადიმირ ვაისის საწვრთნელ პროცესში 23 ფეხბურთელი მონაწილეობს. ტრავმის გამო გუნდს კვლავ ვერ ეხმარება ჯანო ანანიძე. სხვა ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და სრული დატვირთვით მოლდოვასთან შეხვედრისთვის მზადების პროცესშია ჩართული.

ვაისმა „ღია კარის“ დღე მოაწყო, თავადაც ისაუბრა და ჟურნალისტებთან გასაუბრების უფლება ფეხბურთელებსაც მისცა.

**ვლადიმირ ვაისი:**

– ანანიძეს კუნთის ტრავმა აქვს. ის ამჟამად ჩვენს ექიმებთან მკურნალობს, თუმცა, მოლდოვასთან, სავარაუდოდ, ვერ დაგვეხმარება.

***– რას იტყვით მოლდოვის ნაკრებზე?***

– დღევანდელ ფეხბურთში იოლი მეტოქე არ არსებობს და მოლდოვასთან მატჩიც არავითარ შემთხვევაში იოლი არ იქნება. პატივს ვცემ ჩვენს მომავალ მეტოქეს. მათ კარგი მწვრთნელი ჰყავთ, რომელიც თავადაც შესანიშნავი ფეხბურთელი იყო. ახლანდელ ნაკრებშიც რამდენიმე გამოცდილი და ხარისხიანი მოთამაშეა, როგორც ეპურიანუ, გაცკანი და ბუგაიოვი, რომელსაც მე ყაზახეთის ჩემპიონატიდან კარგად ვიცნობ.

ჩვენ ვაკვირდებით მეტოქის თამაშს, ვსწავლობთ მის ძლიერ და სუსტ წერტილებს. შემდგომ კი, უკვე მატჩის დროს გამოჩნდება, შევძლებთ თუ არა როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში სწორად და ყურადღებით თამაშს, რაც ჩვენ დადებითი შედეგის მიღწევის შესაძლებლობას მოგვცემს.

***– რამდენად მსგავსი იქნება საქართველოს ნაკრების სასტარტო შემადგენლობა იმ თერთმეტეულებთან, რომლებიც ირლანდიასთან და უელსთან შეხვედრებში დააყენეთ?***

– ჯერ შემადგენლობაზე ვერ ვილაპარაკებ. იქნება ორმხრივი თამაში და იქ მოისინჯება რამდენიმე ვარიანტი. ორ-სამ პოზიციაზე არის კითხვები და ეჭვები. სამწუხაროდ, რამდენიმე ჩვენს ფეხბურთელს აკლია სათამაშო პრაქტიკა თავის კლუბში.

***– საქართველოს ნაკრებს ამჯერად „პირველ ნომრად“ მოუწევს თამაში მოლდოვასთან. ასე არ იყო წინა მატჩებში. ეს პრობლემა ხომ არ იქნება?***

– ძალიან ყურადღებით, ჭკუით უნდა ვითამაშოთ. ერთხელაც უნდა ვთქვა, რომ ეს არ იქნება იოლი მოწინააღმდეგე. ჩემი პირველი თამაში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე იყო ყაზახეთთან. ეს გუნდები ჰგავანან ერთმანეთს, თუნდაც – ტაქტიკურად. მაშინაც და მერეც ჩვენ გვქონდა საგოლე მომენტების რეალიზაციის პრობლემა. მიმდინარე შესარჩევ ციკლში 2 გოლი გვაქვს გატანილი. არადა, თავისუფლად შეიძლებოდა, გატანილი გოლების გრაფაში 10 გვწერებოდა... ეს უნდა გამოსწორდეს. ჩვენი მიზანია ამ საოცარი გულშემატკივრის წინაშე გამარჯვება!

საქართველოსა და მოლდოვას საფეხბურთო ნაკრებები 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეოთხე ტურის მატჩს, 12 ნოემბერს, 21 საათზე „დინამო არენაზე“ გამართავენ.

# კრიშტიანო რონალდუ: „რეალთან კონტრაქტი 2016 წლის კულმინაციაა“

კრიშტიანო რონალდუმ მადრიდის რეალთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი. ფეხბურთელი რეალში 2021 წლის 30 ივნისამდე დარჩება. რეალის ვებ-გვერდზე რონალდუს ინტერვიუ გამოქვეყნდა.



**კრიშტიანუ რონალდუ:**

– ეს არის ნამდვილი კულმინაცია იმ საუკეთესო მომენტებისა, რომლებიც 2016 წელს დაფიქსირდა, ამიტომ დიდ მადლობას ვუხდი პრეზიდენტ პერესს, ქომაგებს, მწვრთნელებს და ყველას, ვინც დახმარება გამიწია. ძალიან ბედნიერი ვარ და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, მადრიდი ჩემი სახლია. ყოველთვის ვიბრძოლებ რეალის წარმატებისთვის, ვინაიდან ეს კლუბი ჩემ გულშია და მუდამ ასე იქნება. დიდი სიამოვნებით დავასრულებდი კარიერას ესპანეთის დედაქალაქში.

რეალის მაისურით აბსოლუტურად ყველა ტიტული მოვიგე და იმედი მაქვს, მომდევნო 5 წლის მანძილზე ჩემპიონთა ლიგის, ლა ლიგის, სამეფო თასისა და მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის მოგებასაც შევძლებ. მადრიდული გუნდის მაისურით 372 გოლი მაქვს გატანილი, აქედან არაერთი იყო მნიშვნელოვანი და გამოყოფა რთულია, თუმცა ბოლო ბურთი, რომელიც ატლეტიკოს კარში გავიტანე, ძალიან კარგად მახსოვს. თერთმეტმეტრიანი, რომელიც ყველაფერს წყვეტს, ემოციური გამორბენი და ჩემპიონთა ლიგის თასი შენია. ეს უდიდესი ბედნიერებაა...

ზიდანი ყოველთვის ძალიან ბევრს ნერვიულობს, ვინაიდან უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია, თუმცა ჩვენთან ყოველთვის სხვაგვარი დამოკიდებულება აქვს. აღფრთოვანებული ვარ მისი სამუშაოთი, ის იყო ბრწყინვალე ფეხბურთელი და არის საოცარი მწვრთნელი. ჩვენ ერთმანეთისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს და მიზნად არაერთი ტიტული დავისახეთ...

2016 წელი მართლაც საუკეთესო იყო, მაგრამ ერთი ტიტული კიდევ უნდა მოვიგოთ. მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი ნამდვილად პრესტიჟული ტურნირია, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებთ ოქროს მედლებისთვის.

როდესაც ჩვენი შემოსავლები საკმარისზე მეტია, ქველმოქმედების აუცილებლობა დგება. ამ მხრივ, 2016 წელი მართლაც ძალიან ნაყოფიერი იყო, არაერთი პროექტი დავიწყე, რომელიც უკვე დასრულდა და შედეგები გამოიღო. ვფიქრობ, ადამიანების დახმარება ჩვენი მოვალეობა გახლავთ...

# იუვენტუსს ხამესის გადაბირება სურს




იანვრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში ტურინის იუვენტუსი კოლუმბიის ნაკრებისა და მადრიდის რეალის შემტევის, ხამეს როდრიგესის დამატებას ეცდება.

ბიანკონერებს ნახევარდაცვის გაძლიერება აქვთ გადაწყვეტილი და სურთ, რეალში კოლუმბიელი ნახევარმცველის არც ისე სახარბიელო მდგომარეობით ისარგებლონ. მიმდინარე სეზონში 25 წლის ფეხბურთელმა მხოლოდ 4-ჯერ ითამაშა ძირითად შემადგენლობაში, მის ანგარიშზე ერთი გატანილი გოლი და 3 საგოლე პასია.

ფაქტია, ზინედინ ზიდანი ხამესს სათადარიგოთა სკამის ფეხბურთელად განიხილავს და არაა გამორიცხული, თავად კოლუმბიელმა მოინდომოს კლუბის დატოვება. მიუხედავად იმისა, რომ როდრიგესს სამეფო კლუბში საკმაოდ მაღალი ხელფასი აქვს, ბებერი ქალბატონი ეცდება მუდმივი სათამაშო პრაქტიკითა და ბონუსებით მოხიბლოს მადრიდელთა ათიანი.

ასევე აღსანიშნავია, რომ უახლოეს დღეებში შესაძლოა შეხვედრა გაიმართოს ჯუზეპე მაროტასა და მარკო ვერატის პირად აგენტს შორის.

ამასობაში ტურინელებმა ლეონარდო ბონუჩისთან და პაულო დიბალასთან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე საბოლოოდ მიაღწია შეთანხმებას.

იტალიელი მცველი ბიანკონერებთან კონტრაქტს 2021 წლამდე გაახანგრძლივებს და მისი ანაზღაურება 4,5 მილიონ ევრომდე გაიზრდება. 29 წლის ფეხბურთელის მიმართ ინტერესს მანჩესტერ სიტი და ჩელსი იჩენდნენ. თუმცა, ფაქტია, რომ კონტრაქტის გახანგრძლივების შემდეგ ჯუზეპე მაროტა ბონუჩის გუნდიდან წასვლას არ დაუშვებს.

რაც შეეხება არგენტინელ ფორვარდს, მისი კონტრაქტიც 5 წლის ვადით გახანგრძლივდება და ანაზღაურება 5 მილიონ ევროს პლუს ბონუსებამდე გაიზრდება. პალერმოდან გადმობარგების შემდეგ გასულ სეზონში დიბალამ 20 გოლის გატანა და 9 საგოლე პასის გაკეთება შეძლო, მიმდინარე სეზონში კი მის ანგარიშზე 4 გოლი და 2 საგოლე პასია.

# ზლატან იბრაჰიმოვიჩის ბოდიში გულშემატკივარს



გასულ უქმეებზე სუონსი სიტისთან მატჩში მიღებული სეზონის მეხუთე ყვითელი ბარათის გამო ზლატან იბრაჰიმოვიჩმა მანჩესტერ იუნაიტედის გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადა.

შვედი ფორვარდი, რომელიც „წითლების“ საუკეთესო ბომბარდირია მიმდინარე სეზონში, არსენალთან საშინაო შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს.

პირველი ყვითელი ბარათის მანჩესტერულ დერბიში მიღების შემდეგ ჩატარებულ 5 მატჩში ზლატანმა კიდევ 3 გაფრთხილება მიიღო, ხოლო მეხუთე და უკანასკნელი მათგანი „ლიბერთი სტედიუმზე“ ნილ სუორბრიკმა უჩვენა, რაც იმას ნიშნავს, რომ „მეთოფეებთან“ მატჩში იბრაჰიმოვიჩი არ იქნება.

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი:**

– იცით რა? ყოველთვის, როცა ჩემი თამაშის თამაშს ვცდილობ სიძლიერით და ორთაბრძოლებში შესვლით, თუ რაც არის, ყვითელ ბარათს ვიღებ. არ ვიცი, მსაჯმა რამ ამიხსნა, რადგან ძალიან დაღლილი ვიყავი და მისი არ მესმოდა. ეს არის ის, რაც არის. ინგლისში ფეხბურთი რთული, ფიზიკურია. უბრალოდ უნდა შევეგუო. მე პროფესიონალი ვარ. ბოდიშს ვიხდი, რომ მომდევნო მატჩში დისკვალიფიცირებული ვარ. ვისურვებდი, რომ სხვაგვარად ყოფილიყო, რადგან ამ თამაშში ძალიან მინდა მონაწილეობა. მაგრამ ჩემს თანაგუნდელებსა და გუნდს ვენდობი და ვიცი, რომ უჩემოდაც კარგად გაართმევენ თავს.

# კლოპი: „ჩვენი ისტორია რამდენიმე თვის წინ დაიწყო“



პრემიერლიგის 2016-17 წლების სეზონი ლივერპულისთვის განსაკუთრებულად დაიწყო. 11 ტურის შემდეგ მერსისაიდელებს 26 ქულა აქვთ და ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობენ.

ამ ყველაფერმა კი გულშემატკივარს კვლავ გაუჩინა იმედი, რომ მერსისაიდელები ასე ნანატრ ტიტულს მოიგებენ. ტიტულს, რომელსაც სკაუზერები უკვე 26 წელია, ელიან.

უოტფორდთან გამარჯვების შემდეგ იურგენ კლოპმა სწორედ ამ ადამიანებს მიმართა:

– ეს არაფერს ცვლის. ვიცი, როგორია ფეხბურთი, ის ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ნერვებს მოუფრთხილდით – ყველაფერი კარგად არის. ეს ნამდვილად კარგი მომენტია. ვიცი, რომ ყველა წარსულ გუნდებს გვადარებს, განსაკუთრებით ლივერპულში – 3, 5, 10 თუ 25 წლის წინ. მაგრამ ეს ახალი გუნდია, ჩვენ ახლები ვართ.

ჩვენი ისტორია რამდენიმე თვის წინ დაიწყო, ამიტომ ვერავის შეგვადარებთ. არ შეგიძლიათ ზურგზე ისტორია აგვკიდოთ. თავი თავისუფლად უნდა ვიგრძნოთ, რათა მალე რაიმე შევქმნათ. თუ თვალს ადევნებთ პრემიერლიგას, ნახავდით, როგორ თამაშობს ჩელსი, როგორი ძლიერია არსენალი, სიტი და ტოტენჰემი, ხოლო მანჩესტერ იუნაიტედი არასდროს უნდა ჩამოწერო. თითოეული პოზიციისთვის ნამდვილი ბრძოლა იქნება. ახლა ჩვენი მდგომარეობა შედარებით უკეთესია, სულ ესაა.

# ნეიმარი წელიწადში 16 მილიონ ევროს მიიღებს



ცოტა ხნის წინ, ბარსელონას ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, ნეიმარ ჟუნიორმა კატალონიურ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის პირობებიც მისი წინა ხელშეკრულებისგან ძალიან განსხვავდება და საქმე არა მხოლოდ ხელფასის ოდენობას ეხება.

ბარსელონამ თანხმობა განაცხადა, 24 წლის ფეხბურთელის ხელფასი თითქმის გაესამმაგებინა, მაგრამ ბრაზილიელს ბონუსების სისტემა თითქმის გაუუქმდა. გარდა ამისა, კლუბმა ფეხბურთელის საიმიჯო უფლებების ნაწილიც მიისაკუთრა.

ახალი კონტრაქტის თანახმად, ნეიმარი წელიწადში 16 მილიონ ევროს მიიღებს. მას აღარ ექნება ბონუსები „ოქროს ბურთის“ სამეულში მოხვედრისთვის, ან გატანილი გოლებისთვის. სამაგიეროდ, ფეხბურთელის კონტრაქტს დაემატა ბონუსი გუნდური მიღწევებისთვის. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად წარმატებული სეზონი ექნება ბარსელონას, ნეიმარის შემოსავალმა, შესაძლოა, 2.5 მილიონი ევროთი მოიმატოს.

ცნობილია, რომ ნეიმარს გასულ ზაფხულში ფინანსურად უფრო მომგებიანი წინადადებები სხვა კლუბებისგან ჰქონდა. თუმცა, ბრაზილიელმა ბარსელონაში დარჩენა გადაწყვიტა. მან იცის, რომ კატალონიურ გუნდში ტიტულების მოგების მეტი შანსი აქვს, ეს კი მას ახალი სპონსორების მოზიდვაში დაეხმარება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ ვაკონტროლოთ წნევა

ეკა ირემაშვილი

არტერიული ჰიპერტენზია, ანუ პოპულარულად წნევა, საკმაოდ საშიში დაავადებაა. ადამიანი, რომელსაც წნევა აწუხებს, დროულად უნდა მივიდეს ექიმთან და შესაბამისი მკურნალობა ჩაიტაროს.

როგორც „ახალ თაობას“ თერაპევტმა ლიანა გლოველმა განუცხადა, წნევის გამომწვევი მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს:

– არტერიული ჰიპერტენზიის მიზეზი შესაძლოა იყოს სხვადასხვა ორგანოთა დაავადებები, მათ შორის, თირკმლების, სისხლძარღვების, ენდოკრინული... ამ შემთხვევაში სისხლის წნევის მატებას სიმპტომურ, ანუ „მეორად ჰიპერტენზიას“ უწოდებენ, მაგრამ ხშირად ჰიპერტენზია სხვა დაავადების სიმპტომს კი არ წარმოადგენს, არამედ მათ გარეშე დამოუკიდებლად იწყება.

***– რითია საშიში ჰიპერტონული დაავადება?***

– სისხლის მაღალი წნევის გამო ზიანდება სისხლძარღვები, გული, თირკმლები. ამ დროს მოსალოდნელია სტენოკარდიისა და ინფარქტის, გულის უკმარისობის, ინსულტის, ენდარტერიტის, არტერიის ანთებითი ცვლილებები, თირკმლების უკმარისობის განვითარება.

ფართოდ გავრცელებული შეხედულება, „თუ მომატებული წნევა არ გვაწუხებს, მკურნალობაც არ გვჭირდებაო“, არ არის მართალი. დროთა განმავლობაში წნევის უსიმპტომო მატება ზემოთ აღნიშნული სერიოზული გართულებების საფუძველი ხდება.

***– რა უწყობს ხელს ჰიპერტენზიის განვითარებას?***

– ჰიპერტონული დაავადების განვითარების რისკის ფაქტორები ისეთივეა, როგორც გულ-სისხლძარღვთა სხვა დაავადებებისა, გენეტიკური განწყობა, ასაკი, თამბაქოს წევა, სიმსუქნე, უმოძრაო ცხოვრების წესი, შაქრიანი დიაბეტი, სისხლში ქოლესტეროლის მაღალი დონე, ნერვული სტრესი, სუფრის მარილის დიდი რაოდენობით მიღება, ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობა. კაცი არ იქეიფებს, არ დალევს?! მთავარი ზომიერებაა ყველაფერში, ცოტა წითელი ღვინო სასარგებლოა, მაგრამ წითელი ღვინით დათრობა არაფრით არ შეიძლება. კარგად უნდა დავიმახსოვროთ, რაც არ შეიძლება, ის არ შეიძლება!

***– არის თუ არა შესაძლებელი ამ დაავადების თავიდან აცილება?***

– უნდა მისდიოთ ჯანსაღი ცხოვრების წესს, გამოიყენოთ მხოლოდ და მხოლოდ ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები. გახსოვდეთ, არსებობს არა „კარგი“ და „ცუდი“, არამედ „საჭირო“ და „არასაჭირო“ წამალი! ხანდახან არტერიული წნევის მატებას კომპენსატორული ხასიათი აქვს და იგი ორგანიზმს სხვა პრობლემების დასაძლევად სჭირდება. ნუ ეცდებით ექიმის გარეშე მოქმედებას, ნუ დაიწყებთ სხვადასხვა წამლების თვითნებურად მიღებას. შეიძლება ერთი და იგივე წნევის მატარებლები ვიყოთ, მაგრამ ის მედიკამენტი რაც მე მშველის, ვიღაცას ავნოს, ამიტომ ყველამ უნდა შეწყვიტოს თვითმკურნალობა. ერთხელ პაციენტი შევიდა აფთიაქში, მისცეს წამალი და კოლაფსში ჩავარდა, ამიტომ გავუფრთხილდეთ ჯანმრთელობას. ახალგაზრდისთვის ენის ქვეშ წამლის დადება არ შეიძლება, მაშინ უნდა იყოს ჰიპერტონიკი, დოზირება ამ დროს უმნიშვნელოვანესია.

არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია, დაუშვებელია დანიშნული მკურნალობის შეწყვეტა, ან შეცვლა ექიმთან შეთანხმების გარეშე. კვალიფიციური ექიმის არსენალში უამრავი თანამედროვე პრეპარატია, რომელთა სწორი შერჩევით შესაძლებელია ჯანმრთელობის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და ხანგრძლივი სიცოცხლე.

ბევრ რამეს უნდა მივაქციოთ ყურადღება. მივიდეთ ოჯახის ექიმთან, თუ საჭირო იქნება კარდიოლოგთანაც, გადავიღოთ კარდიოგრამა და გამოკვლევები ჩავიტაროთ. ეს არის პირველადი დახმარება, რაც წნევიან ადამიანს სჭირდება.

სამწუხაროდ, მეტწილად უყურადღებოები არიან ჩვენი მოქალაქეები, არადა, საჭიროა დროულად მიხედონ თავს, იზრუნონ ჯანმრთელობაზე. წნევის მკურნალობისთვის დაწერილი რეცეპტი არ არსებობს. საქართველოში არ არსებობს იმის კულტურა, რომ ექიმთან წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მივიდეთ. ძირითადად პაციენტები მოდიან დაგვიანებით, არის გართულებული მდგომარეობა და უფრო მეტი მკურნალობა სჭირდებათ. იშვიათად თუ მოვა ვინმე დროულად.

***– თუკი არაფერი გვაწუხებს, წელიწადში რამდენჯერ უნდა მივიდეთ ექიმთან პროფილაქტიკის მიზნით?***

– თუ არაფერი გაწუხებთ, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მიხვიდეთ ექიმთან. ხშირად ამბობენ, პროფილაქტიკისთვის სისხლის საერთო ანალიზი მინდაო. პროფილაქტიკისთვის სისხლის ანალიზი არ კეთდება. ეს ანალიზი აუცილებელია.

სამწუხაროდ, ფინანსური ფაქტორი ექიმთან ვიზიტისას უმნიშვნელოვანესია. ბევრი იმის გამო ვერ მიდის ოჯახის ექიმთან, რომ წამლების ყიდვის საშუალება არ აქვს.

***– ვის უფრო აწუხებს წნევა, ქალებს თუ მამაკაცებს?***

– წნევა ყველანაირად საშიშია, ასაკში კი, მით უმეტეს. წნევები 40 წლის მერე უფრო ქალბატონებს აწუხებთ. ბევრი ფაქტორია ამის მიზეზი. მათ შორის მენსტრუაციის დარღვევა, სტრესი, ნერვიულობა. თუკი დროულად მიაკითხავენ ექიმს, შედეგს დამამშვიდებლებიც მისცემთ. ამის წაყრუება არაფრით არ შეიძლება. წნევა იწვევს უძილობასაც, უმნიშვნელოვანესია ოჯახური პირობები, გარემო, სად მუშაობს პაციენტი, არანაკლები პრობლემაა უმუშევრობა. მთავარია დავადგინოთ მიზეზი, საიდან მოდის წნევა და სწორად ვუმკურნალოთ.

***– 40 წელი ზღვარია?***

– ამ დროს იწყება ქალებში ცვლილებები.

***– კაცებს წნევა არ აწუხებთ?***

– მათაც აქვთ კლიმაქსი და წნევაც აწუხებთ, მაგრამ ქალებს უფრო ადრე ეწყებათ. მამაკაცებს ძირითადად აწუხებთ უფულობა და უმუშევრობა. ძირითადად დღევანდელ დღეს წნევას იწვევს ნევროზული მდგომარეობა. ნევროზი კი დღეს ყველას აქვს. ის მომენტი, რომ ერთხელ ვინერვიულე და წნევამ ამიწია, უყურადღებოდ არ დავტოვოთ. ნერვიულობა შეიძლება სხვა დღესაც მოგიწიოთ, ამიტომ არ უნდა წაუყრუოთ. ზოგი ლამის ყოველ დღე დადის კლინიკაში, ჩვევად აქვთ. ძირითადად ახალგაზრდები არ აქცევენ ამ საკითხს ყურადღებას. ბევრი ციკლის დარღვევასაც არ უკავშირებს წნევას, არადა შეიძლება ეს დაავადება ამითაც იყოს გამოწვეული.

***– როგორია ნორმალური წნევა?***

– ინდივიდუალურია ყველასთვის. ზოგი ატარებს 90-60-ზე და თავს კარგად გრძნობს. წესით 110-70-ზე და 120-80-ზე არის კარგი წნევა, მაგრამ ზოგი 110-ზე ცუდად ხდება და მათთვის ეს წნევა უკვე მაღალია.

***– როდის უნდა დავიწყოთ წნევის კონტროლი?***

– თუ წნევიანი ხართ, უნდა აკონტროლოთ წნევა ექიმის რჩევით, თუ არადა, არ არის საჭირო.

***– როგორ გავიზომოთ წნევა სწორად?***

– იმისთვის, რომ წნევა სწორად გავიზომოთ, უნდა დავიცვათ წესები: პაციენტს ბოლო 1 საათის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეს მიღებული საკვები, ალკოჰოლი, მატონიზებელი სასმელები, არ უნდა ჰქონდეს მოწეული თამბაქო. პაციენტს, სასურველია, არ გაეზომოს წნევა ემოციური სტრესის ფონზე. ბოლო 1/2 საათის განმავლობაში არ უნდა დაიტვირთოს ფიზიკურად. გაზომვამდე, 5 წუთით ადრე, მოხერხებულად უნდა მოეწყოს და წყნარად იჯდეს. მანჟეტის ზომა უნდა იყოს მხარის შესაბამისი, ანუ თითქმის მთლიანად ფარავდეს მხარს. მისი ქვედა კიდედან იდაყვის ფოსომდე მცირე ადგილი უნდა დარჩეს. მანჟეტი არ უნდა გიჭერდეთ, შემოხვეულ მანჟეტსა და მხარს შორის უნდა თავსდებოდეს თითი. იდაყვის შიგნით ზედაპირზე უნდა მოვნახოთ პულსირებადი არტერია და დავადოთ ფონენდოსკოპი. მანჟეტიდან ჰაერი უნდა გამოვუშვათ ნელა, ისე, რომ გულის შეკუმშვებს შორის, ისარმა 2-3 მილიმეტრით დაიწიოს. წნევა გაიზომეთ, მინიმუმ 2-ჯერ, 2-5 წუთის ინტერვალით და გამოიყვანეთ საშუალო სიდიდე.

კიდევ რამდენიმე საყურადღებო რჩევა: ზოგჯერ, მანჟეტიდან ჰაერის გამოშვებისას, შეამჩნევთ, რომ ტონები გაქრა, შემდეგ კი ისევ გაისმა. ამას „მუნჯი ზონის“ ფენომენს ეძახიან. შეცდომის გამოსარიცხად, ჰაერის ჩაჭირხვნისას, წნევა მანჟეტში ყოველთვის აიყვანეთ 200 მილმეტრზე ზევით. თუ შეამჩნევთ, რომ მარჯვენა და მარცხენა მხარზე გაზომილ წნევებს შორის სხვაობაა, რეალურად ჩათვალეთ წნევა, რომელიც უფრო მაღალია და შემდგომშიც ამ ხელზე გაიკონტროლეთ. ზოგიერთი უცხოური აპარატი, რომელიც თვითონ ავტომატურად ზომავს წნევას, თავსდება მაჯაზე. ასევე, ავტომატური აპარატებიდან ზოგიერთს მანჟეტზე მითითებული აქვს ადგილი წარწერით არტერია. ყურადღებით იყავით! მანჟეტის დადებისას ეს ადგილი აუცილებლად უნდა მოაქციოთ პულსირებადი არტერიის პროექციაზე. ავტომატური აპარატებით გაზომვისას, სასურველია, წნევა 3-4-ჯერ მაინც გაიზომოს და, შემდგომში, გამოყვანილი იქნას საშუალო სიდიდე.

ჰიპერტონული დაავადების დიაგნოზის დასმა არ ხდება, თუ წნევის მატებას იშვიათი და ეპიზოდური ხასიათი აქვს. თუ თქვენ ერთხელ დააფიქსირეთ არტერიული წნევის ზომიერად მომატებული ციფრები, საბოლოო დასკვნის გაკეთებამდე, ზემოთ აღნიშნული წესების დაცვით, პერიოდულად გადაიმოწმეთ ისინი 1-2 კვირის განმავლობაში. თუ ჰიპერტენზია კვლავ დაფიქსირდა, მიმართეთ ექიმს. გახსოვდეთ, ნებისმიერი დიაგნოზის, მათ შორის, ჰიპერტონული დაავადების დიაგნოზის დასმა, ექიმის პრეროგატივაა

სპორტი



## ოსასუნას ახალი მწვრთნელი ხოაკინ კაპაროსი იქნება

რამდენიმე დღის წინ პამპლონის ოსასუნამ ცუდი შედეგების გამო გუნდის მთავარი მწვრთნელი ენრიკე მარტინი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. ოსასუნამ ახალი მწვრთნელი მალევე იპოვა და ის გამოცდილი ესპანელი სპეციალისტი ხოაკინ კაპაროსი იქნება, რომელსაც ბევრ ესპანურ გუნდში უმუშავია.

კაპაროსი 61 წლის არის და ის ისეთი კლუბების თავკაცი იყო, როგორებიც დეპორტივო, სევილია და ვილიარეალი არიან.

კაპაროსის წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა დგას, რადგან ოსასუნა 11 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა, მე-19 პოზიციას იკავებს და მხოლოდ 7 ქულა აქვს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*



## სერხიო რამოსმა ტრავმა თითქმის მოიშუშა

მადრიდის რეალის ცენტრალურმა მცველმა სერხიო რამოსმა ესპანეთის ნაკრებში თამაშის დროს ტრავმა მიიღო, რის გამოც მას საკმაოდ დიდი პერიოდი გაუცდა. პროგნოზების მიხედვით, რამოსი მოედანზე ნოემბრის ბოლოს უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ, როგორც ექიმები ამბობენ, რამოსის აღდგენითი პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს და, შესაძლოა, სერხიო ატლეტიკოს წინააღმდეგაც ვიხილოთ მოედანზე. ატლეტიკოსთან მატჩი რეალისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ბოლო წლებში რეალს ატლეტიკოსთან მუდამ პრობლემები აქვს. შეხვედრა 19 ნოემბერს გაიმართება.

## ასტროპროგნოზი

### 10 ნოემბრისათვის



**ვერძი** – ნებისმიერი საქმის მოგვარებისას დეტალებს ყურადღება მიაქციეთ. სიფიცხე და მოუთმენლობა უსიამოვნებამდე მიგიყვანთ. **კურო** – დღეს შესაძლოა რჩევისათვის მოგმართონ. თქვენი პირადი გამოცდილების გაზიარება დიდ სამსახურს გაუწევს მათ, ვისაც ეს სჭირდება. **ტყუპები** – საქმიანი მოლაპარაკებები შეგიძლიათ დღესვე დაიწყოთ. პარტნიორული ურთიერთობები საკმაოდ ნაყოფიერი იქნება. **კირჩხიბი** – საეჭვო საქმეებში ჩარევისაგან თავი შეიკავეთ. დღეს შეძლებთ, ფორტუნა თქვენ სასარგებლოდ შემოაბრუნოთ. **ლომი** – პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა უსიამოვნებაში გაგხვევთ. დაგროვილი პრობლემები დაუყოვნებელ მოგვარებას მოითხოვს. **ქალწული** – ცივი გონებით იმოქმედეთ. ემოციები მოთოკეთ. მოვლენების არსს ახლებურად შეხედეთ. **სასწორი** – იღბლიანი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. გარშემომყოფების დარწმუნებას იოლად შეძლებთ და მათ თქვენ მიმართ ნდობით განაწყობთ. **ღრიანკალი** – ჩანაფიქრის რეალიზება გაგიძნელდებათ. ნუ გარისკავთ და ნუ იაქტიურებთ. **მშვილდოსანი** – გაღიზიანებული და განერვიულებული ხართ. იფრთხილეთ და ემოციების გამოვლენისაგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. **თხის რქა** – მეტისმეტი აქტიურობა რეკომენდებული არ არის. გარშემომყოფებს ნუ გააღიზიანებთ. მხოლოდ თქვენზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულეთ. **მერწყული** – არსებობენ ადამიანები, რომლებსაც თქვენი დახმარება და თანაგრძნობა სჭირდებათ. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ წასასვლელად. **თევზები** – გადაღლილი ხართ. დაუფიქრებელ და სპონტანურ გადაწყვეტილებას დღეს ცუდი შედეგი მოჰყვება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სანთლიდან ჩამომდინარი წვეთი; 2. გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი; 3. ფრანგი მოქანდაკე, თავისუფლების ქანდაკების ავტორი ნიუ იორკში; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 8. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 11. უეცრად ამოვარდნილი ძლიერი ქარი; 12. ქართველი მეფე, საგალობლის „შენ ხარ ვენახის“ ავტორი; 16. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწინო ნიშანი; 17. თვითმფრინავთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი ინგლისში; 18. ჭადრაკის ფიგურა.

**თარაზულად:** 1. ჰაერში დაგროვილი შესქელებული წყლის ორთქლი; 5. ვრცელი ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 7. ოდესის ძველი სახელწოდება; 9. ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 10. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 13. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე ტბა; 14. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 15. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 19. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 20. ბადაგისაგან მომზადებული ტკბილეული; 21. მონასტერი კასპის რაიონში; 22. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი საფრანგეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სადროშო; 2. აფალინა; 3. ციხეგოჯი; 4. ბეტისი; 5. ლახვარი; 8. ბაღდათი; 9. ჯინობილი; 12. საქსაული; 13. გლუკოზა; 16. სოლფეჯიო; 17. ოლიმპია; 19. აპნისი; 20. ფნარკი.

**თარაზულად**: 6. პაციფისტი; 7. დესპანი; 8. ბრეხტი; 10. კორსიკა; 11. კაფი; 14. ხელბურთი; 15. ექსპერტი; 18. გოპაკი; 21. პოზიცია; 22. ფრუმი; 23. ილიადა; 24. პორტოფინო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ფეიხოა; 2. ღვინიო; 3. პამფლეტი; 4. გინესი; 6. პაპარაცი; 8. გრანდი; 11. სინაგოგა; 12. ვაკუუმი; 16. ფანზა; 17. ჰიჯრა; 18. ბრიჯი.

**თარაზულად**: 1. ფარღული; 5. ტემპი; 7. ფაჩულია; 9. ხილნარი; 10. ბენფიკა; 13. დენტინი; 14. კიბუცი; 15. დალი; 19. გულიაში; 20. რისლინგი; 21. დელტაპლანი; 22. ნადური.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჰერეთისკარის მიმდებარე ტერიტორია, „ჰერეთისკარის„ ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 18 200 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჰერეთისკარის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი.**

2 959 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).**

295,9 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.**

1 680 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 11 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.**

2 წელი

**14. სხვა მონაცემები.**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №15

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა.**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.**

თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაფარეულის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ლოპოტას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 6 000 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.**

თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაფარეულის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი.**

1 044 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).**

104,4 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.**

722 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 11 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.**

1 წელი

**14. სხვა მონაცემები.**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №16

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა.**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.**

თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. კისისხევის მიმდებარე ტერიტორია, მდ. კისისხევის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 123 600 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.**

თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. კისისხევის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი.**

16 573 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).**

1657,3 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.**

8 487 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 11 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები.**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №17

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა.**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გზის დაზიანების შემთხვევაში განახორციელოს დაზიანებული გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიალის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.**

სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობზე „ზანის„ ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 752 400 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.**

სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზანას მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი.**

100 887 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).**

10 088,7 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.**

80 910 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 11 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები.**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №18

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა.**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ„ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით განსაზღვრული მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისაგან დაცვის სანიტარული წესების უზრუნველმყოფი ღონისძიებები.

თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ურეკის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 5000 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი.**

162 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).**

16,2 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.**

281 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 11 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები.**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან რაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №19

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა.**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გუმბრას ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 365 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გუმბრას ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი.**

12 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).**

1,2 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.**

206 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 11 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები.**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №20

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა.**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.**

ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. დარკვეთი (საჩხერის გზატკეცილი, N16) მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 900 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.**

ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. დარკვეთი (საჩხერის გზატკეცილი, N16)

**8. აუქციონის საწყისი ფასი.**

23 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).**

2,3 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.**

212 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 11 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.**

10 წელი

**14. სხვა მონაცემები.**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# სუხიშვილების ფურორი უნგრეთში

ანსამბლი „სუხიშვილები“ კონცერტებს ევროპაში მართავს. მათი კონცერტები სრული ანშლაგით მიმდინარეობს და მაყურებელი ბისზე იწვევს მოცეკვავეებს.

ერთ-ერთი ბოლო კონცერტი სუხიშვილებს უნგრეთში ჰქონდათ. ბუდაპეშტში ჩატარებული კონცერტი „სუხიშვილების“ ხელმძღვანელის ნინო სუხიშვილისთვის გამორჩეული აღმოჩნდა.

**ნინო სუხიშვილი:**



– უნგრეთი და კერძოდ ბუდაპეშტი, განსაკუთრებული ქალაქია ჩვენთვის. აქ 12 წლის ილიკო პირველად გამოვიდა სცენაზე! ჩემთვის 17 წლის ასაკში პირველი საზღვარგარეთ მოგზაურობა იყო, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს.

გუშინ კიდევ ერთხელ „იერიშით“ ავიღეთ ეს ქალაქი. ამ განცდის სიტყვებით გამოხატვა ძალიან ძნელია, ეს ალბათ ადრენალინის დიდი დოზის მიღების ტოლფასია!

ბედნიერების, სიხარულის, სიამაყის, პატრიოტიზმისა და საკუთარი ღირსების მძაფრი შეგრძნება – ეს ის წუთებია, როცა ამ გრძნობებით დგახარ სცენაზე და გაგიჟებული დარბაზი ყვირის, კივის, გუგუნებს, ინგრევა ტაშით, და მაშინ ხვდები, თუ რა ბედნიერი ხარ, რომ შეგწევს ძალა ასე აღაფრთოვანო მსოფლიო მაყურებელი შენი პატარა ქვეყნით, შენი ხელოვნებით და იამაყო, რომ ქართველი ხარ!

# უხუცესთა ანსამბლი „მაჭახელა“ იუნესკომ „ცოცხალ საკაცობრიო საუნჯედ“ აღიარა





უხუცესთა ანსამბლი „მაჭახელა“, რომელმაც ქართული ხალხური სიმღერა დღემდე შემოინახა, იუნესკომ „ცოცხალ საკაცობრიო საუნჯედ“ აღიარა.

ანსამბლ „მაჭახელას“ უკვე არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვარგარეთაც კარგად იცნობენ.

თურქეთის პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მყოფი პირებისა და ანსამბლების დაჯილდოების ცერემონიალი, რომელთა შორის იყო ბორჩხას რაიონის სოფელ ჯამილში, ისტორიული მაჭახელა, არსებული ხანდაზმულთა პოლიფონიური ანსამბლი „მაჭახელა“.

ანსანბლ „მაჭახელას“ პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა და კულტურისა და ტურიზმის მინისტრმა ნაბი ავჯიმ ჯილდოები გადასცეს. დაჯილდოების ცერემონიას, რომელიც სახელმწიფო არხების პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, მაჭახელას ფონდის ხელმძღვანელები, ანსამბლის შემქმნელი იბერია ოზქან-მელაშვილი, მინისტრები და იუნესკოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# რაში იხარჯება სახელმწიფოს მიერ მუზეუმისთვის გამოყოფილი თანხა?

– ამ კითხვას ისტორიკოსი ვლას ვაწაძე სვამს და ბაგინეთის მუზეუმში ვიზიტის ფოტოებს სოციალურ ქსელში ავრცელებს, სადაც მოშლილი სამუზეუმო ინფრასტრუქტურაა აღბეჭდილი.

ფოტოებიდან ჩანს, რომ გაფუჭებულია ტურისტული ბილიკი, ჩამოშლილია ხის დამცავი კონსტრუქცია, დაჟანგულია რკინის ჯებირები.

**ვლას ვაწაძე:**

– ძეგლთა დაცვის სააგენტოს მიერ უყურადღებოდ მიტოვებული მუზეუმი. გაფუჭებული ტურისტული ბილიკი, ჩამოშლილი ხის დამცავი კონსტრუქცია, რომელიც ანტიკურ ქვევრებს იცავდა, ქვევრებზე დაფარებული ბრეზენტის ნაჭრები, რომელთაც ზემოდან არტეფაქტები ადევს, დაჟანგული რკინის ჯებირები და განადგურების პირას მყოფი ტურისტული ბილიკი.

ერთი სიტყვით, მოშლილი სამუზეუმო ინფრასტრუქტურა. მთავარი კითხვა – რაში იხარჯება სახელმწიფოს მიერ მუზეუმისთვის გამოყოფილი თანხა? რა გაკეთდა მუზეუმისთვის 2013 წლის შემდეგ? რატომ არ ჰყავს ვიზიტორები მუზეუმს?

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

## ავსტრალიაში ნიანგებისა და გომბეშოების გარბენი მოაწყვეს



ავსტრალიის ქალაქ ბერი სპრინგზში ნიანგების, გომბეშოებისა და ბაყაყების გარბენი გაიმართა. შეჯიბრი ადგილობრივი ლუდის ბარის მფლობელის ინიციატივით ჩატარდა.

გარბენში მონაწილეობისთვის მოთამაშეებმა ახალგაზრდა ნიანგები შეიძინეს, რომელთა სიგრძე ნახევარ მეტრს არ აღემატებოდა. იმისთვის, რომ მინიატიურული რეპტილიების ერთმანეთისგან გარჩევა გაადვილებოდათ, მათ სხვადასხვა ფერის ბაფთები შეაბეს. ფინიშის ხაზი პირველმა ნიანგმა, სახელად ტებმა გადაკვეთა, რომელიც მელბურნელ ტურისტ ქალბატონს ეკუთვნოდა.

პროგრამის მეორე ნომერს წარმოადგენდა გომბეშოების შეჯიბრი. მათ პატრონებს უწევდათ, თავიანთ ცხოველებს ხოხვით მიჰყოლოდნენ უკან და შეებერათ, რათა ზანტი ამფიბიები ეიძულებინათ ფინიშისკენ ემოძრავათ. გომბეშოების შეჯიბრის დასრულების შემდეგ კი ბაყაყებმა იასპარეზეს.

უჩვეულო ტურნირის საყურებლად ასზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი. შეჯიბრის ორგანიზატორი იენ სლოენი ხუმრობდა, რომ ბერი სპრინგზის შეჯიბრი კონკურენციას გაუწევს მელბურნის პრესტიჟული თასის გათამაშებას დოღში, რომელიც უკვე 150 წელზე მეტია იმართება ავსტრალიაში.

– ცხენები გუშინდელი დღეა, – განაცხადა მან, – მომავალი ნიანგებს ეკუთვნით.

## ციყვმა ფლორიდაში მოხუცებულთა სახლი შეაწუხა



ამერიკის ფლორიდას შტატის ქალაქ დელტონის მოხუცებულთა სახლში ციყვმა შეაღწია და რამდენიმე ადამიანი დაკბინა. მომხდარზე ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ცხოველი თავის პირველ მსხვერპლს ჯერ კიდევ ქუჩაში დაესხა თავს. დაზარალებულმა ციყვის მოშორება მოახერხა, მაგრამ ამის შემდეგ შენობაში აღმოჩნდა, სადაც კიდევ რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა.

– ციყვი ადამიანებს ახტება, მათ კბენს და ფხაჭნის, – აცნობა 911-ს ხანდაზმულთა სახლის თანამშრომელმა, – დახმარება გვჭირდება.

მან ასევე მორიგეს უთხრა, რომ ცხოველის აგრესიის მსხვერპლთ ექიმის დახმარება სჭირდებოდათ.

– ციყვი ჯერ ისევ აქ არის, ადამიანებს კი სისხლი სდით, – უთხრა მორიგეს დაწესებულების თანამშრომელმა, რომლის შეფასებით, ციყვის თავდასხმისგან მინიმუმ სამი ადამიანი დაშავდა.

საბოლოოდ გარეული ცხოველის ხანდაზმულთა სახლიდან გაგდება იქ მაშველებისა და სასწრაფო დახმარების მისვლამდე მოხერხდა. რამდენიმე დაშავებული საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. იქ მათ სათანადო სამედიცინო დახმარება გაუწიეს და უკანვე დააბრუნეს. ხოლო თუ რითი იყო გამოწვეული ციყვის ასეთი აგრესიულობა, უცნობია.

## დედა შვილებს ჰეროინით აძინებდა





ამერიკის ვაშინგტონის შტატის მცხოვრებ ქალბატონს ეშლი ჰატს თავისი სამი შვილისთვის ჰეროინის მიცემა ბრალდება.

ბრალდება ასევე წარედგინა მის მეგობარ მამაკაც მაკ ლეროი მაკლივერსაც. გამოძიების ვერსიით, ისინი ორი, ოთხი და ექვსი წლის ბავშვებს ნარკოტიკით აბრუებდნენ იმისთვის, რათა ღრმად ჩასძინებოდათ. უფროსი შვილის თქმით, დედა მათთვის მიცემულ ნივთიერებას უწოდებდა წამალს, რომელიც განწყობის ასამაღლებლად იყო საჭირო. ბავშვმა ის აღწერა, როგორც „წყალში გარეული თეთრი ფხვნილი“, რომელიც ორგანიზმში ნემსით შეჰყავდათ.

სამედიცინო გამოკვლევის შედეგად ორ ბავშვს სისხლში მართლაც აღმოაჩნდათ ნარკოტიკის კვალი, ხოლო სხეულზე მათ ნანემსრები ეტყობოდათ. ბრალდებულებმა აღიარეს, რომ ჰეროინის მომხმარებლები არიან, მაგრამ ნარკოტიკების ბავშვებისთვის მიცემის ფაქტს უარყოფენ.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის ედი ტროერის თქმით, პირობები, რომელშიც მთელი ოჯახი ცხოვრობდა, დამთრგუნველი იყო.

– ჰეროინიც კი რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ასეთ ცხოვრებას კარგს ნამდვილად ვერ დავარქმევთ, – ხაზგასმით აღნიშნა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელმა.

## ავსტრალიელმა შეყვარებულს ხელი ნიანგების ვოლიერში სთხოვა



ნიანგების მომთვინიერებელმა თავის მეგობარ გოგონას ცოლობა ავსტრალიის რეპტილიების პარკში წარმოდგენის მიმდინარეობის დროს მაყურებლების თვალწინ სთხოვა. აღნიშნული ინფორმაცია ფეისბუქში პარკის გვერდზეა განთავსებული.

როგორც ვიდეოდან ჩანს, მომთვინიერებელ მამაკაცს ბილი ჰქვია, ხოლო გოგონას – შივონი. სანამ შოუს წამყვანი მაყურებლებს მოუთხრობდა ისტორიას, ბილი ნიანგის ვოლიერში შევიდა, ჯოხზე წამოცმული ხორცის ნაჭრით დაახლოებით სამი მეტრი სიგრძის ნიანგი წყალსატევიდან გამოიტყუა.

ამის შემდეგ ის რეპტილიისკენ ზურგით მიტრიალდა, ჯიბიდან ნიშნობის ბეჭედი ამოიღო, ვოლიერის ღობესთან მდგომი შეყვარებულის წინ ცალ ფეხზე ჩაიმუხლა და გოგონას ჰკითხა, გაჰყვებოდა თუ არა ცოლად. გოგონამ თანხმობით უპასუხა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ნანული, შვილები გია და თეა, რძალი ეთო ყარალაშვილი, შვილიშვილები კესო და ანდრია ბარათელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ტრისტან ბარათელი**

პანაშვიდები: 10, 11 ნოემბერს, 17 საათზე.

გამოსვენება: 12 ნოემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ნავთლუღის ქუჩა №31.

---

მეზობლები სამძიმარს ვუცხადებთ ნანული ბაღათურია-ბარათელს მეუღლის

**ტრისტან ბარათელის**

გარდაცვალების გამო.

---

ენძელა, დარეჯან, დალი, პეტრე ბერაიები შვილებით, სიძეებით, შვილიშვილებით მწუხარებას გამოთქვამენ შესანიშნავი ფოთელი ქალბატონის

**ლეილა კაკულიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**ხუთშაბათი 10 ნოემბერი**

**06.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **07.00** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **08.00** "მხიარული ფერმა" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **12.20** მხ/ფ "**მერვე გვერდი**" **14.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **15.00, 03.30** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** "უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ "**გულით ველური**" (ნ.კეიჯი)

**08.00, 14.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **09.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდდებული ჩანაფიქრი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**ოდრი ჰეპბერნის თავგადასავალი**" I ნაწ. **12.00** ტ/სერ. "**შეამბოხე მიწა**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00 01.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სერ. "**ჰეროკრატია** (9+1)" **00.30** გრიფით საიდუმლო **01.00** მხ/ფ "**ზულანდერი**" **03.00** მხ/ფ "**ჟიგოლოს ნიღბის ქვეშ**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15**სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** პროფილიP.S.**01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS **არხის რეორგანიზაციის გამო ტელეპროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**06.15** სჯანი-რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთდამოკიდებულება **06.40** პატერიკი-წმინდა იოანე მოწყალე **06.45** დ/ფ "რევაზ თვარაძე" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**წკიპურტები**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "დეკორატიული ხელოვნება" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართ. ან/ფ **15.30** სად უჩინარდებიან ჩემპიონები "ვაჟა კაჭარავა" **16.00** კონცერტი **17.00** ქრისტიანული ხელოვნება "წინაქრისტიანული ხელოვნება" **17.35** ჩვენი ფონდი **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-ეკლესიის არსი და მისი დაფუძნება **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა "პატარა სიმფონია" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.30** დიდ ხარ შენ უფალო **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** დეკორატიული ფლორა "იასამანი" **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00, 13.30, 1.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.00, 18.50** სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 23.30** "ბიზნეს კონტაქტი" **14.30, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**გემი**" **21.40** პოლიტ თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.40** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**10 ნოემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4462

ევრო — 2.7031

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0370

100 რუსული რუბლი — 3.8374

## ამინდის პროგნოზი 10 ნოემბრისთვის





## 8 ნოემბრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

### დევიდ ლოურენსი
### ლედი ჩეთერლის საყვარელი




ამ რომანმა გამოსვლისთანავე დიდი სკანდალი გამოიწვია.

მწერლის სამშობლოში, დიდ ბრიტანეთში, 1930 წელს უკვე დაბეჭდილი წიგნების მთელი ტირაჟი გაანადგურეს.

აკრძალვა 1960 წლამდე მოქმედებდა, ვიდრე გახმაურებული სასამართლო პროცესის შემდეგ ამ რომანმა მთლიანად არ აღიდგინა თავისი უფლებები.

წიგნში აღწერილია სიყვარულის კლასიკური სამკუთხედი: ახალგაზრდა ლამაზი ქალი, ინვალიდი ქმარი და მოუხეშავი ტყის მცველი.

დევიდ ლოურენსის ეს წიგნი მსოფლიოს საუკეთესო ნაწარმოებების რიცხვშია და მისდამი ინტერესი დღემდე არ განელებულა.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**



## 10 ნოემბრიდან

### ჯერალდ დარელი
### იდუმალი ხმების ქვეყანა. მთვრალ ტყეში




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


## ქეთა თოფურია დონალდ ტრამპს: „ტყუილა არ მჯეროდა შენი!“



ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს მომღერალი ქეთა თოფურია გამოეხმაურა. ა სტუდიოს ქართველმა სოლისტმა სოციალურ ქსელში დონალდ ტრამპთან გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა წარწერით:

– ტყუილა არ მჯეროდა შენი!

მომღერლის და ამერიკის ახალი პრეზიდენტის ფოტო მოსკოვში, ბიზნესმენ არას აგალაროვის დაბადების დღეზე, 2013 წელსაა გადაღებული.

## ზურა ყიფშიძე ტელეწამყვანი გახდა



კინომსახიობთა თეატრის მსახიობი ზურა ყიფშიძე ტელეწამყვანი გახდა.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე მას თეატრალური გადაცემა „ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ“ მიჰყავს.

პირველი გადაცემა ეთერში უკვე გავიდა და ის ლენა ყიფშიძეს მიეძღვნა. თეატრალური პროექტი დოკუმენტური სერიალია ქართველი მსახიობების შესახებ.

პროექტის წამყვანი საზოგადოებას წარუდგენს თეატრისა და კინოს მსახიობებს, მათ როლებს, შემოქმედებას, ცხოვრებისეულ ისტორიებს. გადაცემაში გამოყენებული იქნება საარქივო მასალა. რესპონდენტებად წარმოდგენილი იქნებიან თეატრმცოდნეები, რეჟისორები, მსახიობები და იმ ემოციებსაც გაიხსენებენ, რაც მათ ამ მსახიობებთან აკავშირებდათ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი



•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– მოდი, დედაშენს იმდენი ფული ვაჩუქოთ, რამდენი წლისაც გახდა.

– ოჰო! 500 დოლარის ჩუქებას აპირებ?

– რა, 500 წლის გახდა?!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– იცი რა არის სიბერე?

– სიბერეა, როდესაც გოგონები გამოძახებით შენთან სასწრაფო დახმარების მანქანით მოდიან!

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– პირდაპირ აღტაცებული ვარ, თქვენი და თქვენი მეუღლის ურთიერთდამოკიდებულებით. 20 წელია ერთად ცხოვრობთ და ქალაქში სეირნობის დროს ისევ ისე ხელიხელჩაკიდებულები დადიხართ!

– აბა, სხვა რა გზა მაქვს, რამდენჯერაც ხელი გავუშვი, იმდენჯერ რაღაცა იყიდა!

•••

სეროჟას ნაცნობი ეკითხება:

– მართალია, რომ ბიძაშენი ჭკუიდან შეიშალა და 1000 დოლარი გაჩუქა?

– ჰო, მასეა რა.

– ერთი თვით ათასი დოლარი მასესხე რა.

– ბიჭო, ბიძაჩემი შეიშალა ჭკუიდან, მე კი არა!

•••

ერთი დაქალი მეორეს შესჩივის:

– ჩემ ქმართან ცხოვრება საშინელებაა.

– მერე, შენც ადექი და გაშორდი.

– აბა, მაგ ჭკუაზე ვარ ზუსტად, ასეთ ბედნიერებას ვერ მივანიჭებ!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– დღეს ჩემი ცოლის დაბადების დღეა და მე კი ჯერაც არ მომიფიქრებია, რა საჩუქარი გავუკეთო.

– შენც ადექი და სახლში ფხიზელი მიდი.

– ვითომ? ისე, საიუბილეო თარიღი არ არის...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორ არის საქმე, საახალწლო განწყობაზე მოხვედი?

– არა.

– მაშინ მეორე ბოთლსაც მოვიტან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## ტონი კროოსმა სერიოზული ტრავმა მიიღო




მადრიდის რეალის საყრდენმა ნახევარმცველმა ტონი კროოსმა ლეგანესთან შეხვედრის დროს ტრავმა მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა.

თავდაპირველად კროოსის ტრავმა სერიოზული არ ჩანდა, მაგრამ ოთხშაბათს ცნობილი გახდა, რომ გერმანელ ნახევარმცველს დაახლოებით 3 თვის გამოტოვება მოუწევს. კროოსი რეალის ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია, ამიტომ მისი ასეთი დიდი ხნით დაკარგვა სამეფო გუნდისთვის შესაძლოა სერიოზულ პრობლემად იქცეს.

ტონი კროოსი რეალში 2014 წელს გადავიდა და ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოპოვება არ გასჭირვებია. რეალამდე კროოსი მიუნხენის ბაიერნის ღირსებას იცავდა.

## ლუის სუარესი ბარსელონასთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს




ურუგვაელი ფორვარდი ლუის სუარესი ბარსელონასთან მალე ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს, რომლის მიხედვითაც ის კატალონიურ გუნდში 2022 წლის ჩათვლით ითამაშებს.

სუარესის ანაზღაურება გაიზრდება, თუმცა ზუსტი ციფრები ცნობილი არ არის.

ლუის სუარესი ბარსელონაში მესამე სეზონს ატარებს და ძალიან შედეგიანია. წელს 15 ჩატარებულ შეხვედრაში სუარესმა უკვე 10 გოლის გატანა შეძლო. ურუგვაელი თავდამსხმელი ხშირად მნიშვნელოვან შეხვედრებში იტანს გოლებს, მაგალითად, როგორც ეს სევილიასთან მოხდა.

## უეინ რუნი ჩინეთში თამაშს არ აპირებს



რუნი მანჩესტერ იუნაიტედში 2004 წლიდან თამაშობს.

მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდა უეინ რუნიმ ჩინური გუნდის შემოთავაზებაზე უარი თქვა.

ერთ-ერთი ჩინური კლუბი რუნის ანაზღაურების სახით წელიწადში 20 მილიონ ევროს სთავაზობდა, მაგრამ ინგლისელმა ფეხბურთელმა სამშობლოში დარჩენა ამჯობინა. რუნი 31 წლის არის და ბოლო პერიოდში ვერ აჩვენებს მაღალი დონის ფეხბურთს, ამიტომ ინგლისური პრესა უკვე მისი მანჩესტერიდან წასვლაზე ალაპარაკდა. თვითონ რუნი ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

მისი შეძენა იტალიურ მილანს სურს და ეს ტრანსფერი შესაძლოა იანვარში განხორციელდეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელი; 2. ნახევარკუნძული ევროპაში; 3. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, მოშვება; 4. მთვარიანი ღამე; 5. შინაური კურდღელი; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. უდიდესი ბუნებრივი ნაკრძალი აშშ-ში; 12. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 16. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 17. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 19. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 20. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში.

**თარაზულად:** 6. ალღო ანუ...; 7. ისტორიული მოედანი პარიზში; 8. რაიონული ცენტრი სვანეთში; 10. თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა შუა საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; 11. იაპონური ხის ფეხსაცმელი; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 15. თაღლითი, მატყუარა, ყალთაბანდი; 18. რაიმე დარგის, მეცნიერების ზოგადი განყენებული საფუძვლები; 21. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 22. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 23. ისრაელის სახელმწიფო ენა; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**


ლურჯი წითელი ყვითელი შავი